# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

ფასი 1 ლარი

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№129 (9809) 2024 წლის 11 ნოემბერი. ორშაბათი


მზის სხივი ჩვენს დემოგრაფიაში



რუსუდან მესხი
11 შვილის დედაა

## ...და მანაც ისმინა „ქართვლის ვედრება“

სტუდენტურ მერხთან დაბრუნება 22 წლის შემდეგ...

9

ილიაობა-2024



## ტყვიების სამიზნე დღეს ადამიანების გონებაა!

2

## მოსამართლე ხუჭუას დამცინავი ძალადობა



არავითარი მარწყვის ტორტი, მთავარი მიშას სიყვარულია!

3

სამწუხაროდ, „ახობაძის საქმე“ არ არის ერთადერთი „გადაცდომა“ გაანგელოზებული ხუჭუას საპროკურორო მოღვაწეობაში.



## ოპოზიციას ისეთი ლიდერი არა ჰყავს, რომელსაც ხალხის აყოლიება შეუძლია!

დასავლეთში მიმდინარეობს კულუარული მოლაპარაკებები მსხვილ მოთამაშეებსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის

6

წერილი წყალტუბოდან

თეიმურაზ ჯანელიძე

## ჩემი საქართველო ისევ აქ არის!..

4

ქართული ფეხბურთის უზბეკური დიდგორი

## ტაშკენტის ტრიუმფი 60 წლისაა!

საინტერესო ისტორია



კოტე და ეროსი

10

## მხოლოდ ჯანსაღი, ძლიერი ეროვნული „მესამე ძალა“ გვჭირდება

საზოგადოება ქართული

საზოგადოება „ქართული“: მამუკა ხაზარაძისა და გიორგი გახარიას პარტიებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, რომ გაემიჯნონ დესტრუქციულ ოპოზიციას, მათ რადიკალიზმს, იქცნენ რეალურ „მესამე ძალად“

7

## თითქოს გუშინ დაეწეროს

სიკეთით სძლიე
შენს მტერსა,
ერიდე სისხლით
ზღვევასა:
სულგრძელობითა
ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა
ძლევასა.



# დაიწყო ილიას კვირეული

**8-14 ნოემბერს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო მასალის გამოფენა იმართება.**

ერთი კვირის განმავლობაში საჯარო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ საარქივო ფონდს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო სივრცეში ჯამში წარმოდგენილია 1050-ზე მეტი დოკუმენტი და გამოფენილი საარქივო მასალის შესახებ მნახველებისთვის ტარდება 30-40-წუთიანი ექსკურსიებიც.

ილია ჭავჭავაძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, მისი მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ, მთელი საქართველოს მასშტაბით, სკოლებში სხვადასხვა შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობა ტარდება, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თბილისის მერიის თანამშრომლობის შედეგად, 8-14 ნოემბერს თბილისის მუნიციპალური „მუზეუმების გაერთიანება“ სრულიად უსასყიდლოდ უმასპინძლებს სკოლის მოსწავლეებს.

მუზეუმების გაერთიანება 9 დამოუკიდებელ მუზეუმს, მათ შორის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს აერთიანებს.

# ერის წყლულის მკურნალი მამა

**ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის, ჩვენი ფასეულობების, ეროვნული იდენტობის დაცვას, მან გენიალურად, სამ სიტყვაში გამოხატა ჩვენი ეროვნული იდენტობის, თვითმყოფადობის მთავარი საყრდენი - მამული, ენა და სარწმუნოება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ყვარელში, „ილიაობა 2024“-თან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**



ილია ჭავჭავაძის დაბადების 187-ე წლისთავთან დაკავშირებით ყვარელში 8 ნოემბერს ტრადიციული სახალხო ზეიმი გაიმართა, რომელსაც მთავრობის მეთაური პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად დაესწრო.

ირაკლი კობახიძემ და შალვა პაპუაშვილმა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა დაათვალიერეს.

პრემიერ-მინისტრმა ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებულ მოღვაწეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ყველასთვის სამაგალითოა.

„ილია ჭავჭავაძე იყო უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ის იყო პუბლიცისტი, მწერალი, პროზაიკოსი და პოეტიც, ის იყო შერაცხილი ერის მამად. ეს უდიდესი სტატუსი დაიმსახურა იმ განსაკუთრებული მოღვაწეობის გამო, რომელიც გასდევდა მის ცხოვრებას. XIX საუკუნე იყო საკმაოდ რთული პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, საქართველოს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა. მაშინ ქართველები განათლებას იღებდნენ რუსეთში და შემოჰქონდათ საქართველოში ევროპული კულტურა, სიახლეები. ილია ჭავჭავაძე ითვისებდა ყველაფერს საუკეთესოს ევროპული კულტურიდან და ასევე არ ივიწყებდა ქართულს, უფრო მეტიც, ამ ევროპულ სიახლეებს ის უძღვნიდა სწორედ ქართულის გამდიდრებას. ეს არის მთავარი მაგალითი, რომელიც ჩვენ უნდა ავიღოთ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობიდან. ილია ჭავჭავაძემ, თერგდალეულებმა და ერთობამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე, ჩვენ დაგვიტოვა უდიდესი მემკვიდრეობა, ეს მემკვიდრეობა ჩვენთვის ძალიან ძვირფასია და აქტუალურია დღესაც“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წევრები და სასულიერო პირები დაესწრნენ.

# ტყვიების სამიზნე დღეს ადამიანების გონებაა!

**187 წლის წინ საქართველოს მოევლინა ადამიანი, რომელსაც ურთულეს დროში, ბობოქარი იმპერიების აღზევებისა და ერთა ასიმილაციის ხანაში, ათასობით წლის განმავლობაში ნაომარ, ნაშრომ, წინაპართაგან დატოვებულ მიწაზე თავიდან უნდა განესაზღვრა, თუ რას ნიშნავს იყო ქართველი, როგორ უნდა ვიცხოვროთ ინდუსტრიული ტექნოლოგიების ცვლილების დროში და სადაა ის სხვა ვარსკვლავი, რომელსაც უნდა მივდიოთ.**

ამ ღირსშესანიშნავ დღეს, დარწმუნებული ვარ, რომ წმინდა ილია მართალი იყურება ზეციური საქართველოდან და ხარობს. ხარობს იმის შემყურე, რომ ხედავს თავის მამულს დაცულს, სუვერენულს, დამოუკიდებელს, ფეხზე მდგომს, წინ მავალს, საკუთარი ბედის მჭედელს და საიმედო ხელში მყოფს.

ის სამი ღვთაებრივი საუნჯე, რომელიც წინაპართაგან მიიღო სრულიად საქართველომ, რომელსაც მოუარა, მიხედა, ააღორძინა და ჩვენ გადმოგვცა ილია ჭავჭავაძემ, დღეს ჩვენი საპატრონოა, ჩვენი მოსავლელი და განსამტკიცებელია.

სრულიად ახალგაზრდა ილიამ მოახერხა მარადიული ფორმულით – მამული, ენა, სარწმუნოება – გამოეხატა ის არსი, რაც ასე მარტივად, ასე ნათლად აღწერს სრულიად საქართველოს, გვახსენებს ვინ ვართ ჩვენ, ვინ ვიყავით გუშინ და ვინ უნდა ვიყოთ ხვალ.

დღეს ჩვენი შეკრება მოხდა იმ ფონზე, როდესაც საქართველოში სულ ახლახან ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, თავისი არსით და შინაარსით უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ არჩევნები. სულ ახლახან ქართველმა ერმა ერთმნიშვნელოვნად და სრული უმრავლესობით მხარი დაუჭირა ქვეყნის გადარჩენას, ქვეყნის დაცულობას, განვითარებას, მოძლიერებას და წინსვლას ამ მართლაც ურთულეს დროში.

საქართველომ ამ არჩევნებზე აირჩია ხელისუფლება, რომელიც მეტი სიმტკიცით, ეროვნულობით, საკუთარი მნიშვნელობისა და ღირსების დაცვით აპირებს, ახალ სიმაღლეზე აიყვანოს ქართული იდენტობისა და სახელმწიფოს განმტკიცების საქმე.



უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის. ჩვენ გამო სხვა თავს არ მოიკლავს. ჩვენ გამო არავინ გაწირავს საკუთარს. უნდა ვიცოდეთ, რომ ის, რაც გვაბადია, ჩვენივე საპატრონოა. ჩვენ ამის პასუხისმგებლობა გვაკისრია როგორც წინაპრების, ასევე ჩვენი შვილებისა და მომავლის წინაშე.

როგორც ყველა დროში, ისე დღესაც, ჩვენ ვართ მომსწრე ბოროტების, მტრობის, შინაურის ძირგამომთხრელი საქმიანობის, ძალაუფლების ჟინითა და შურისძიების წყურვილით აღვსილი ადამიანებისა, რომლებიც მზად არიან ყოველი საშუალებით უმტრონ ქვეყანას და თავისი უპასუხისმგებლობით, როგორც არაერთხელ მომხდარა, ქვეყანა გადაჩეხონ და თავად იხეირონ. ჩვენს წარსულში, ასეთი ადამიანებისგან ნასროლი ტყვია მოხვდა ბევრ ქართველს და პირველ რიგში ილიას.

ტყვიები დღესაც ზუზუნებენ, ხილულიც და უხილავიც. ამ ტყვიების სამიზნე დღეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების გონებაა. ცდილობენ სიცრუით, ტყუილით, ორპირობით ადამიანთა გონების არევას, ფიზიკური რეალობის უარყოფას, სამშობლოზე წინ სხვათა ინტერესების დაყენებას. ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი სირთულეები თუ გამოწვევები, რასაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

მაგრამ არსებობს ერთი დიდი განსხვავება, დღევანდელ საქართველოსა და საუკუნენახევრის წინანდელ საქართველოს შორის. დღევანდელი აწმყო არის სწორედ ის მომავალი, რომელზეც ოცნებობდა ილია, რომლის აწმყოც იყო ყამირი მიწა და სწორედ მას ხვდა წილად ამ ყამირის გატეხვის და საძირკვლის ჩაყრის ღვაწლი.

სწორედ ილიას მიერ ჩაყრილ საძირკველზე აღმოცენდა ქართული სახელმწიფო, ქართული ცნობიერება და პატრიოტული განცდა. დღეს კი ჩვენი თაობის შესაძლებლობაა რომ დაწყებული საქმე დავასრულოთ, შევქმნათ ისეთი მყარი სახელმწიფო, სამოქალაქო განცდით, ეროვნული თვითშეგნებით, სამშობლოს სიყვარულით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არაერთ ოქროს ხანას დაუდებს სათავეს.

ილიას საქართველო ვართ აქ. დღევანდელი დღე, ჩვენი აწმყო, არის მისი კვალი, ჩვენ ვართ მისი გზის გამგრძელებლები და ივერია იბრწყინებს ჩვენი ყველას ხელით ერთად!“, – თქვა ყვარელში შალვა პაპუაშვილმა



ილიაობა-2024 წარმოდგენის ფრაგმენტი

# მოსამართლე ხუჭუას დამცინავი ძალადობა

**დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო 2024 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა. იმიტომ კი არა, რომ გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“ 150 საპარლამენტო მანდატიდან 89-ის მოპოვება შესძლო (სჯობდა, პარლამენტი ორი ან სამი ქვეყანაზე ალალად მზრუნველი პარტიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულიყო!); არამედ იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გონიერი ქართველი ამომრჩევლის თანადგომით, „ოპოზიციად“ წოდებული დანაშაულებრივი კოლექტიური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ მოუსავლეთში გასტუმრება მოახერხა.**



არჩევნების შედეგების გამოცხადებამ უცხოელი მფარველების დასანახად წინასწარ ფარისევლურად მოზეიმე ოპოზიციაში უდიდესი იმედგაცრუება და გაწიწმატება გამოიწვია. ეს მოსალოდნელიც იყო – ქართული ე. წ. „რადიკალური ოპოზიცია“ არის დასაყრდენი და დავალებების შემსრულებელი იმ უცხოური ძალისა, რომელიც საქართველოზე სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დიქტატურის დაწესებას ცდილობს.

ამიტომაც კოლექტიური მიშა-თინა-ხაზე-ს უაღრესი გაწიწმატება და „სამშობლოს გადასარჩენად“ ახალი ბრძოლის წამოწყება არავის გაჰკვირვებია. გასაკვირი ის იქნებოდა, ბრძოლის ნაცვლად საკუთარი წარუმატებლობის მიზეზების კვლევა და მათი გამოსწორებისთვის ზრუნვა რომ დაეწყოთ. მოკლედ, ოპოზიციას აწუხებს მხოლოდ საკუთარი ბნელი უცხოური დაფინანსების ბედი და მეტი არაფერი. მათ შორის, აშკარად თითიდან გამოწოვილია მისი საჩივრების კორიანტელი არჩევნების გაყალბების თაობაზე. ყალბია, უცნობი უცხოელი დამფინანსებლის მოსაღორებლად გამიზნულია ზეიმი თეთრიწყარო-ნინოწმინდის სასამართლოს (აწ უკვე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუქმებული) გადაწყვეტილების გამო. შეგახსენებთ, რომ მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუამ გაითვალისწინა ოპოზიციის აბსურდული სარჩელი და ამ რეგიონის არჩევნების შედეგები ბათილად გამოაცხადა.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ მედიაში გავრცელდა საკმაოზე მეტად იაფფასიანი, სარკასტული ინფორმაცია, რომ მოსამართლე ხუჭუამ ეს ნაბიჯი სააკაშვილის და ნაცმოძრაობის თაყვანისმცემელი მწერალი მეუღლის, „საბას“ პრემიის ლაურეატის ხათრით და მისი გულის მოსაგებად გადადგა.

გავბედავ და ვიტყვი (იმედია, ჩემი ცოლი არ გამიბრაზდება!), რომ ცოლის, ან თუნდაც მრისხანე სიდედრის ხათრით, ამგვარ გადაწყვეტილებას არცერთი ჭკუათამყოფელი კაცი არ მიიღებს. მით უფრო, თუ იგი საკმაოდ სოლიდური ასაკისა და თანამდებობრივი მდგომარეობის მქონეა. მეტიც, არცერთი ჭკუათამყოფელი ცოლი ქმარს ასეთ სისულელეზე არ დაითანხმებს. თუნდაც ეს ცოლი თვით „საბას“ ლიტერატურული პრემიის ლაურეატი იყოს!

მოდი, ჯერ ბატონი ხუჭუას ბიოგრაფიას გადავხედოთ.

დაიბადა 1976 წლის 7 ნოემბერს. დაამთავრა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „იბერიას“ იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. 1998-2002 წლებში ეწეოდა კერძო იურიდიულ პრაქტიკას. 2002-2004 წლებში იყო საქართველოს კონტროლის პალატის პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს იურისტი; 2004-2012 წლებში – საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმის სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებული წარმოების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე; საქართველოს მთავარი პროკურატურის შსს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 2012 წლის მაისიდან ეწევა სამოსამართლეო საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

**გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – სრულიად ახალგაზრდა რიგითი იურისტის კარიერული აღზევება ზუსტად ემთხვევა მაშინდელი პრეზიდენტის, სააკაშვილის მიერ ორმოც წელს გადაცილებული თანამოქალაქეების „ჩარეცხილებად“ გამოცხადებას და მისივე კატეგორიულ მოთხოვნა-მოწოდებას „არავითარი შეწყალება, ყველანი ციხეში!“**

2006 წელს, სამშობლოსა და ქართული სამართლის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, მადლიერი ქართველი ხალხის სახელით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა 30 წლის ვლადიმერ ხუჭუა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ – პრეზიდენტი ღირსების ორდენით აჯილდოვებს 30 წლის ახალგაზრდას, რომელსაც პროკურატურაში მუშაობის ორწლიანი გამოცდილება გააჩნია!

## არავითარი მარწყვის ტორტი, მთავარი მიშას სიყვარულია!

ისიც ერთგულად და თვალდახუჭული ემსახურება მისი არარსებული დამსახურებების ასე უხვად დამფასებელ პრეზიდენტს!

სამშობლოსა და სამართლიანობისადმი ხუჭუას უანგარო მსახურების მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიშველიებ.

**სამწუხაროდ, „ახობაძის საქმე“ არ არის ერთადერთი „გადაცდომა“, მაპატიეთ, დამცინავი ძალადობა გაანგელოზებული ხუჭუას საპროკურორო მოღვაწეობაში.**

**სააკაშვილის „ჩამრეცხავი“ მოწოდების (ბრძანების!) თანახმად, 2004 წლის ივლისში ეგრეთ წოდებული „საშუალედო აქტის“ საფუძველზე დააპატიმრეს და „განსაკულაკებელთა“ სიაში ჩასვეს უმწიკვლო წარსულის მქონე პროფესორი მერაბ ახობაძე – ფიზიკოსი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფინანსური დეპარტამენტის თავმჯდომარე 1998 წლიდან, უამრავი სიკეთის უანგაროდ მკეთებელი ადამიანი.**

საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან უშუალოდ პროფესორ მერაბ ახობაძის ხელმძღვანელობით და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობდა საქართველოს სასამართლო სისტემის ე. წ. რეორგანიზაცია, რაც მთლიანად ამ სისტემის თავიდან მშენებლობას, რეკონსტრუქციას, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას გულისხმობდა. ამ რეორგანიზაციას, ფინანსების ხარჯვას, უშუალოდ აკვირდებოდა და აკონტროლებდა თვით დამფინანსებლის, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა, რომელსაც არასოდეს არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს.

იმედია, არ გაგიკვირდებათ, რომ „საფუძვლიანი ეჭვიანობით“ მძიმედ დაავადებულმა მაშინდელმა პროკურატურამ ეჭვმიტანილის „დაუსაბუთებელ და უკანონო ქონებაში“ თვალის დაუხამხამებლად შეიტანა ახობაძეების ოჯახის მიერ ოფიციალურად ჯერ კიდევ 1970 წელს(!) აშენებული კოოპერატიული ბინა ბახტრიონის გორაზე მდებარე თორმეტსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულზე; მერაბ ახობაძის 70 წლის ავადმყოფი მარტოხელა დის ოროთახიანი ნახევარსარდაფის ტიპის ბინა; 80-იან წლებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ მერაბ ახობაძისთვის მიცემული მიწის ნაკვეთი; კარგა ხნის წინათ ახობაძის მამის მიერ აშენებული და ასევე კარგა ხნის წინათ გაყიდული სააგარაკო სახლი; პირადად მერაბ ახობაძის, მისი მეუღლის, დის და ქალიშვილების სახელებზე ბანკებში არსებული სიმბოლური დანაზოგები; 1997 წელს გამოშვებული საკმაოდ შელანძღული ავტომანქანა შკოდა-ფელიცია...

თავიდან, მერაბ ახობაძეს 4700 ლარის „საეჭვოდ გაუჩინარება“ დააბრალეს (ქართული სასამართლო სისტემის რეორგანიზაციისათვის მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი და იმ დროისათვის თითქმის მთლიანად ათვისებული 15 მილიონი დოლარიდან!). მერე, ეტყობა, მიხვდნენ, რომ ეს საკმარისი არ იქნებოდა და სხვა ბრალდება წაუყენეს, მერე ისიც უკან წაიღეს. საბოლოოდ კი გაასამართლეს, დაახლოებით 53 000 ლარის უკანონო ხარჯვისთვის. ვიცი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს არის თანხა, რომელიც ახობაძის დეპარტამენტმა გადაიხადა... თბილისიდან რეგიონებში განმწესებული მოსამართლეების ბინის ქირის საფასურად. რაც მთავარია, გადაიხადა საქართველოს მინისტრთა კაბინეტისა და იუსტიციის სამინისტროს დადგენილებების თანახმად!

**საბოლოოდ, პროფესორმა ციხეში ოთხი წელიწადი გაატარა!**

**და ამის მთავარი ორგანიზატორი და შემსრულებელი გახლდათ სწორედ ის ჩვენთვის კარგად ნაცნობი და ქართველი ამომრჩევლების ინტერესების დამცველი პროკურორი, სააკაშვილის „ღირსების ორდენის“ კავალერი, აწ უკვე ნინოწმინდა-თეთრიწყაროს მაგისტრი მოსამართლე და სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ხუჭუა.**

სამწუხაროდ, „ახობაძის საქმე“ არ არის ერთადერთი „გადაცდომა“, მაპატიეთ, დამცინავი ძალადობა გაანგელოზებული ხუჭუას საპროკურორო მოღვაწეობაში.

**ხელისუფლების წარმომადგენელთა ქილიკი, მოსამართლემ გადაწყვეტილება მიშისტი მეუღლის ხათრით მიიღოო, არაფერია თავის მართლების გარდა – ხომ შეიძლება ვინმე ჩემისთანა ინტრიგანი დაინტერესდეს, რატომ არიან მოსამართლის (თანაც, მარადიული მოსამართლის!), პროკურორის, სხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე უახლოეს წარსულში უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პირები, ვინ დგას მათ ზურგს უკან და, რაც მთავარია, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი უზოდიშო დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ?!**

**ჩემი მხრივ, ბოდიშს ვუხდი ვლადიმერ ხუჭუას მეუღლეს უსამართლო ბრალდებების გამო. მჯერა, რომ იგი საყვარელ მეუღლეს მარწყვის ტორტით პოლიტიკის ჩაურევლადაც ხშირად ანებივრებს.**



**თეიმურაზ ქორიძე**

<u>**ილია დარჩიაშვილი:**</u>

## ჩვენი ხელისუფლება გამოხატავს სრულ მზაობას, რომ ჩვენს პარტნიორთან, აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან ვიმუშაოთ!

**დიახ, ჩვენი ხელისუფლება გამოხატავს სრულ მზაობასა და ღიაობას, რომ ჩვენს პარტნიორთან, აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან ვიმუშაოთ, რათა მივიღოთ შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა, – განაცხადა „დღის ქრონიკასთან“ საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა.**

მან ამერიკელ ხალხს, დონალდ ტრამპს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან ინტენსიურად იმუშავებს, რათა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა დაუბრუნდეს ადრე არსებულ ნიშნულს.



„გვაქვს ძალიან დიდი ინტერესი და ჩვენი მხრიდან, როგორც ყოველთვის, ჩვენ ყველა დონეზე ვსაუბრობთ ჩვენს ღიაობაზე, მაქსიმალურ მზაობაზე იმისთვის, რომ ჩვენ გადავტვირთოთ ჩვენი ის ურთიერთობები, რომელიც ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა, რაც ნამდვილად არ არის სახარბიელო არც ჩვენი ქვეყნისთვის, არც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისთვის.

ამდენად, ჩვენი მხრიდან იქნება სრული მზაობა, რომ ვიმუშაოთ ახალ ადმინისტრაციასთან, რათა მაქსიმალურად შევძლოთ ყველა იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომელიც სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყნებს და ამ მიმართულებით კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელისუფლება გამოხატავს სრულ მზაობასა და ღიაობას, რომ ჩვენს პარტნიორთან, ახალ ადმინისტრაციასთან ვიმუშაოთ, რათა მივიღოთ შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა“.

# ჩემი საქართველო ისევ აქ არის!..

**საისტორიო გედისწერისა თუ გლობალური პოლიტიკის ზეგავლენით, თანამედროვე ქართველებს ბეწვის ხიდზე გვიწევს სიარული და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას გვიზღუდავენ ყოვლისშემძლე მენტორები.**

**ასეთი მანკიერი ტენდენციის პიროვებში გაიმართა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც უჩვეულოდ მშვიდ გარემოში კი ჩაიარა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს იყო მოჩვენებითი სიმშვიდე დამანგრეველი ქარიშხლის წინ.**

არჩევნებს რომ გამადიდებელი შუშით დააკვირდებოდნენ ევროპელ–ამერიკელი მტერ–მოყვარეები, იმთავითვე ცნობილი იყო, ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა პროცესის ორგანიზებულად წარმართვისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

უკანასკნელი პერიოდის დაძაბული ურთიერთობების ფონზე, მისასალმებელი იყო აშშ–ის ელჩის **რობინ დანიგანის** მოზომილი განცხადება, რამაც საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილში გააჩინა განცდა, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ნეიტრალური არბიტრის როლს მოირგებდა, როგორც პროცესის მიმდინარეობის, ისე მიღებული შედეგების შეფასების თვალსაზრისით: **„ქართული ოცნება“ დემოკრატიულად არჩეული მთავრობაა და შეიძლება მომდევნო არჩევნებზეც ასე იყოს... ჩემი აზრით, ცესკოს თავმჯდომარე და გუნდი მზად არიან, ხელი შეუწყონ არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებას“.**

იმის დასტურად, რომ ცესკოს თავმჯდომარე და გუნდი მზად იყვნენ არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩასატარებლად, შეგვიძლია, დავიმოწმოთ ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის **პია კუმას** შეფასება: **„არჩევნები იყო კონკურენტული იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ამომრჩევლებს შეეძლოთ, არჩევანი გაეკეთებინათ 18 საარჩევნო სუბიექტს შორის. ეს არჩევნები არ იყო უბრალოდ არჩევანის გაკეთება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის, არამედ ოპოზიციურ პარტიებს შორისაც იყო საკმაოდ აქტიური კონკურენცია“.**

კიდევ უფრო მკაფიო და შთამბეჭდავი იყო საერთაშორისო დამკვირვებლის ალან ავრილის განცხადება, რომელმაც ყინულივით ცივი წყლის თერაპია ჩაუტარა როგორც ჩვენებურ ცრუპენტელა პოლიტიკოსებს, ისე მათ უშუბლისძარღვო აპეკუნებს ახლო თუ შორეულ დასავლეთში: **„გაკვირვებული ვარ, თუ რა ორგანიზებულად და გამართულად ჩატარდა საარჩევნო პროცესი. არ ვარ დარწმუნებული, რომ ყველა დასავლურ ქვეყანაში ასეთ მაღალ დონეზეა არჩევნები ორგანიზებული.“**

ელექტრონული სისტემით არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით არანაირი ეჭვები არ გამოუთქვამთ ოპოზიციის წარმომადგენლებს. უფრო მეტიც, თავიანთ პოტენციურ მხარდამჭერებს სიმშვიდისაკენაც კი მოუწოდებდნენ, ციფრული ტექნოლოგიების წყალობით ხელისუფლება არჩევნებს ვერ გააყალბებს, თქვენი ხმები საიმედოდ იქნება დაცულიო!

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ოპოზიციის ოფიციალურ წარმომადგენლებს არც ერთ საარჩევნო უბანზე არ გამოუვლენიათ ისეთი სახის დარღვევა, რომელსაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა საბოლოო შედეგებზე. ასეთივე სიმშვიდე იყო ეგზიტპოლების გამოცხადების მომენტში, როცა ბარიერგადალახული სუბიექტები ჭერში ქუდებს ისროდნენ, ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ და კოალიციური მთავრობის ფორმირების დეტალებსაც კი ათანხმებდნენ, ალბათ, ერთმანეთში.

თქვე დალოცვილებო, საარჩევნო უბნებზე განუკითხაობა თუ იყო, კარუსელები თავბრუდამხვევი სიჩქარით ტრიალებდა და ხმის მიცემის ფარულობა მასობრივად იყო დარღვეული, რა ხვევნა-კოცნა და მტლაშა-მტლუში გქონდათ ატეხილი?! შესაძლოა, უხეირო პარალელი იყოს, მაგრამ ეს შემთხვევა, ერთი-ერთში ჰგავს გროტესკულ სცენას კინოფილმიდან „მე, ბებია,ილიკო და ილარიონი“, სადაც ილარიონი ქოქოლას აყრის ზურიკელას, ვითარების შეუსაბამო ლექსის გამო: „ქარი და თოვლი თუა და ქვეყანა თუ ინგრევა, შენ რა გიხარია, შე უპატრონო, სიხარულის ცრემლი მომდისო, რომ წერ!“

**ჯერ გავშვი არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო, ნათქვამია და სწორედ რომ ჩვენებურ ოპოზიციაზეა ზედგამოჭრილი. დალოდებოდით ცესკოს ოფიციალურ ინფორმაციას, ყველაფერი ხომ დათვლადია და კალკულაციას ექვემდებარება, ცივილიზებულ სამყაროში!**



მეორე ადგილისთვის კი არა, გამარჯვებისთვის ვემზადებოდითო, ისეთი პათოსით ამბობდა ძველი ნაციონალების ახალი სახე გია ჯაფარიძე, ზურაბ–გირჩი ჯაფარიძის უმცროსი ძმა, რომელიმე გულუბრყვილო ამომრჩეველი იფიქრებდა, ალბათ, ხანგრძლივი პოლიტიკური გამოცდილების სიმძიმე აწევს მხრებზეო. თავდაჯერებულმა გია ჯაფარიძემ, ლაშა ბაქრაძემ და სხვა ენთუზიასტებმა, სასურველია, იცოდნენ, რომ პოლიტიკა არ არის ხელსაქმე, ხელმარჯვე ოსტატმა რომ შეგასწავლოს რამდენიმე კვირაში. პოლიტიკოსმა თვალი უნდა გაუსწოროს რეალობას, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და სისტემატური ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოების იმ სეგმენტთან, ვისთვისაც მისი იდეები მეტნაკლებად მისაღებია.

სხვა თანმდევ პრობლემებთან ერთად, უთუოდ ასეთმა ზედაპირულმა დამოკიდებულებამ განაპირობა ნაციონალების მარცხი, მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსი რომ ჩამოართვა გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძის ნეონაციონალებმა.

გულწრფელად მაინტერესებს, რა მორალური უპირატესობით გამოირჩევა ნეონაციონალთა ეს ოთხეული, სააკაშვილის ფავორიტებთან, ბარამიძე – ვაშაძე – ბოკუჩავა – სოფიო ჯაფარიძესთან შედარებით!

**ჩემი ვარაუდით, ნაცების მარცხი იმასაც შეიძლება უკავშირდებოდეს, „ევროოპტიმისტი“ რომან გოცირიძე ბორტს მიღმა რომ დატოვეს გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, არადა, „კუპონას“ ცინიკურ კომენტარებს აუცილებლად მოისაკლისებს სკაბრეზული გამონათქვამებისკენ მიდრეკილი ენაკვიმატი ამომრჩეველი.**

**რაკი ამ თემაზე გვიწევს საუბარი, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მამუკა ხაზარაძემ აშკარად მოიპოვა მორალური უპირატესობა ალეკო ელისაშვილთან, რომელმაც არა მარტო ნაცარი დაიყარა თავზე, სინანულის ნიშნად, არამედ ნებაყოფლობით დადგა ყირაზე, რაც ნამდვილი ნოუ ჰაუა ქართულ პოლიტიკაში.**

სხვათაშორის, ელისაშვილის რადიკალურ პოზიციას დემონსტრაციულად გაემიჯნა მისი ყოფილი თანაპარტიელი, საქართველოს სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი, რომელმაც არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ ე.წ. კარუსელების გამოყენებით 350 ათასი ხმის გაყალბება შეუძლებელია, თუნდაც ტექნიკური უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

წარმოადგინეთ მტკიცებულებები პროკურატურაშიო, დაჟინებით მოითხოვენ ხელისუფლების წარმომადგენლები ოპონენტებისგან, მაგრამ პასუხად მხოლოდ დემაგოგიური განცხადებები და ჭორის დონეზე გავრცელებული მითქმა-მოთქმა ისმის.

ერთი უცხოური იუმორის მიხედვით, კონტროლიორმა მგზავრს ბილეთის წარდგენა რომ მოთხოვა, აღშფოთებულმა მგზავრმა რამდენიმეწუთიანი ლექცია წაუკითხა ადამიანთა შორის უნდობლობაზე. დარცხვენილი კონტროლიორი ავტობუსიდან როცა ჩავიდა, გვერდით მჯდომმა მამაკაცმა მეზობელს ჰკითხა, ამდენ ლაყბობას არ სჯობდა ბილეთი გეჩვენებინაო? ბილეთი რომ მქონოდა, გიჟი ხომ არ ვიყავი, ამდენი მელაპარაკაო, თავი იმართლა თვითმარქვია ციცერონმა.

დაწერილ შედეგს არ ვაღიარებთ და ვაგრძელებთ ბრძოლასო, ავტორიტეტულად აცხადებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ მთავარსარდალი და სტრატეგოსი გიორგი ვაშაძე, რომელსაც მოფერებით ჭიჭეს ეძახიან.

12 წელიწადია, გვდევნიან, გვცემენ და გვაპატიმრებენ, მაგრამ ვერაფერი გვიქნეს, ჩვენი შეშინება შეუძლებელიაო, ვაშაძეზე არანაკლები რიხით ლაპარაკობს მისი სეხნია გიორგი ბარამიძე, არადა, ისეთი შეშინებული არიან, გაფაციცებით მშველელებს უხმობენ დასავლეთიდან.

ჩვენი ცხოვრება პირველი აპრილია, თუ გინდა გჯეროდეს, უნდა დაიჯეროო, ნათქვამია ავთანდილ შარვაძის ცნობილ სიმღერაში. მართალია, ახლა ნოემბერია, მაგრამ კოლექტიური ნაციონალებისთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს, რაკი აიკვიატეს, არჩევნები გაგვიყალბესო, დაიჯერეს კიდეც და მანამდე გააპროტესტებენ, ვიდრე საამისო რესურსი ეყოფათ!

მერე რა, რომ მეორე საპრიზო ადგილზე გასული კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 890 ათასი ხმით ჩამორჩება, ხოლო მესამე ადგილზე გასული – 908 ათასი ხმით. ამათ ხომ ანგარიში, არითმეტიკა და კალკულაცია არაფერში სჭირდებათ, რადგან აღქმებით ხელმძღვანელობენ და სასურველს რეალობად წარმოაჩენენ!

მე არ გახლავართ ხელისუფლების უპირობო მხარდამჭერი და არც ჯვარი მაქვს ვინმეზე დაწერილი, კანონიერი მეუღლის გარდა, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია ამ ქვეყანაზე!

დიახ, არავის განვსჯი და განვიკითხავ, ვისაც საპირისპირო მოსაზრება აქვს და მისთვის მისაღებ პოლიტიკურ სუბიექტს უჭერს მხარს, მაგრამ თავშეკავებისაკენ მინდა, მოვუწოდო ყველას, ვინც ხელისუფლების გულშემატკივრებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს და აბულინგებს.

გასაგებია, რომ ამჟამად პოლიტიკური შეტირილი აქვთ იმედგაცრულებულ სუბიექტებს, რაც აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევითაც არის გამძაფრებული, მაგრამ იმედგაცრუებულია ხელისუფლებაც, რომელსაც ამბიციური მიზნები ჰქონდა დასახული. ეს არის რეალობა და ამ რეალობასთან შეგუება მოგვიწევს ყველას, ვისთვისაც უზენაესია სახელმწიფოებრივი ინტერესები.

**გულწრფელად მიხარია, რომ ჩემი საქართველო ისევ აქ არის და ქართველებს შეგვიძლია, ევროპელ-ამერიკულ პარტნიორებს ამაყად ჩავხედოთ თვალებში.**

**ეს იყო ხელისუფლების ამოცანა, რომლის შესრულება საზოგადოების მტკიცე მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.**



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**წყალტუბო – ჩუნეში.**
**ტელ 551 00 59 50**

# სრულიად უფასოდ საქართველოში აიზომა 1.5 მლნ-ზე მეტი მიწის ნაკვეთი!

**„ოქტომბრის მდგომარეობით, რეკორდულ ვადებში, მოქალაქეებისთვის სრულიად უფასოდ აიზომა 1.5 მლნ-ზე მეტი მიწის ნაკვეთი, ჯამური ფართობით 880 000 ჰა-ზე მეტი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

– 2022 წლიდან ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო რეფორმა. ყველა მუნიციპალიტეტში ხორციელდება მიწის სისტემური რეგისტრაცია. რეფორმა გულისხმობს მოქალაქეებისთვის მიწის უფასოდ აზომვას, ყველა საჭირო ინფორმაციის, დოკუმენტების, მონაცემების არქივში მოძიებას, უწყებათაშორის კოორდინაციას და საბოლოო ჯამში მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ მიწის სისტემური რეგისტრაცია დასკვნით ფაზაშია და ოქტომბრის მდგომარეობით, საკუთრების უფლება მილიონზე მეტ მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა.

გასული წლის პირველი ოქტომბრიდან გაფორმდა მემორანდუმი თბილისის მერიასთან, რომლის ფარგლებშიც სისტემური რეგისტრაცია დედაქალაქშიც დაიწყო. რეგისტრირდება არა მხოლოდ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები, არამედ სწორდება 15-20 წლის წინ არასწორად განხორციელებული რეგისტრაციებიც.

პრემიერის თქმით, პროექტის მასშტაბების და შედეგების გათვალისწინებით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მიწის სისტემური რეგისტრაციის გაგრძელების თაობაზე.

– ჯერ კიდევ არიან მოქალაქეები, რომლებსაც არ დაურეგისტრირებიათ მიწის ნაკვეთები. ასეთია ნახევარ მილიონამდე მიწის ნაკვეთი მთლიანობაში და 2025 წლის ბოლომდე ამ მოქალაქეებსაც ექნებათ საშუალება, სრულიად უფასოდ დაირეგისტრირონ კუთვნილი მიწის ნაკვეთები. რეფორმის დასრულების შედეგად, დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი აღარ იარსებებს ქვეყანაში, შეიქმნება ერთიანი, სრულყოფილი საკადასტრო მონაცემთა ბაზა, საბოლოოდ გაიმიჯნება ერთმანეთისგან კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მდებარეობა და გაირკვევა მესაკუთრის ვინაობა, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**პრემიერმა მადლობა გადაუხადა იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს, სამინისტროს თანამშრომლებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ყველა ადამიანს, ვინც ჩართულია რეფორმის წარმატებით განხორციელებაში.**

# გამოჩენილი მეცნიერი, ნოვატორი, გამომგონებელი, სპორტსმენი

## გიორგი შხვაცაბაია — 120



**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და პირველ ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საკავშირო და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერების და ტექნოლოგიების დამსახურებულ მოღვაწეს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი შხვაცაბაიას მიმდინარე წლის 12 ნოემბერს დაბადებიდან 120 წელი უსრულდება.**

გიორგი შხვაცაბაია დაიბადა 1904 წლის 12 ნოემბერს ქ. ქუთაისში. 1925 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა მანქანათგამოსაცდელ სადგურში, რომელსაც პროფესორი კონსტანტინე ამირეჯიბი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი იმ სამეცნიერო და პრაქტიკულ ცოდნას, რომელმაც შემდგომ ხელი შეუწყო მისი, როგორც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სფეროში კონსტრუქტორის, მკვლევრისა და პედაგოგის ნიჭის სრულად გამოვლენას. 1930 წ. უნივერსიტეტის სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელსაც აკადემიკოს ვლადისლავ ჟელიგოვსკის ხელმძღვანელობით ამთავრებს 1934 წელს და იცავს ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „დინამოგრაფი – მისი თეორია, კონსტრუქცია და მეთოდიკა სოფლის მეურნეობის მანქანებისა და ტრაქტორების მბრუნავ ღერძებზე სიმძლავრის გასაზომად“. 1935-1941 წლებში გ. შხვაცაბაია მუშაობს ამავე ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო 1941-1951 წლებში – სასოფლო-სამეურნეო მანქანების კათედრაზე დოცენტად. 1951 წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას. ამავე წლიდან იგი გადმოდის საქართველოში, სადაც ოთხი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ხელმძღვანელობს მოსავლის აღების მანქანების კათედრას. ამავე პერიოდში ის არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1957-1964 წწ.), ხოლო 1956 წელს მას ირჩევენ საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა წევრ-კორესპონდენტად.

აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას მიერ შემუშავებული იქნა ახალი მექანიკური გამზომი ხელსაწყოების კომპლექსი, კერძოდ, წევითი და მბრუნავი დინამოგრაფები და მუშაობის საზომი ხელსაწყოები, ენერგიის საზომი მანქანა, სახნავი აგრეგატის მიერ გაკეთებული კვლის საზომი და პროფილის ჩამწერი ავტომატური მოწყობილობა, ასევე დინამოგრაფების და კვლის პროფილის ჩამწერი ხელსაწყოების მასშტაბის განმსაზღვრელი კალიბრატორები, აგროქიმიური ანალიზების ასაღებად ნიადაგის ნიმუშების მოსამზადებლი პორტატული მინი-წისქვილი და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ეს ხელსაწყოები მათი სიმარტივის და სიზუსტის გამო ახლაც წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა აგრეგატების წევითი მახასიათებლების შესწავლის დროს.

ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის მანქანების გამოკვლევისა და პარამეტრების დადგენის მიმართულებით. შედეგად 1972 წელს ინსტიტუტ „ვნიგორსელმაშის“ სპეციალისტების, ძირითადად ბატონ გიორგის ასპირანტების მიერ სერიულ წარმოებაზე იქნა დაყენებული ვაკესა და ფერდობებზე განლაგებულ მცირეკონტურიან ნაკვეთებში სამუშაოდ განკუთვნილი ჩაის ფოთლის საკრეფი, აგრონომ ნიკოლოზ კოსტავას კონსტრუქციის მცირეგაბარიტიანი თვითმავალი მანქანა ჩა-900/650 საცვლელი მუშა ორგანოებით.

აკადემიკოსი გ. შხვაცაბაია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მცირე მექანიზაციის როლს მეჩაიეობაში. მისი ორგანიზებით საქართველოში შემოტანილი იქნა და გამოიცადა იაპონური წარმოების ხელის ჩაის საკრეფი და სასხლავი მანქანები. გამოცდების დადებითი შედეგების საფუძველზე, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ დაიწყო სამი სხვადასხვა ტიპის სამამულო წარმოების ხელის ჩაის საკრეფი და სასხლავი მანქანების გამოშვება. სულ გამოშვებული იქნა და დაინერგა 8 ათასამდე მცირე მექანიზაციის მანქანა. გარდა ამისა, ბატონი გიორგის მიერ დამუშავებული იქნა ჩაის პლანტაციებში ხელის ელექტროძრავიანი სასხლავი და საკრეფი მანქანების ელექტრომომარაგებისათვის ელექტროქსელის პროექტი, ასევე შედგენილი იქნა ამ მანქანების სათანადო ინსტრუქცია, რომელიც ბროშურების სახით დაურიგდათ მეჩაიე ფერმერებს.

**გამორჩეული ადამიანური თვისებებით, კეთილშობილური ბუნებითა და სიკეთით უხვად დაჯილდოებული გ. შხვაცაბაია დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდასა და ჩამოყალიბებას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა არაერთ თაობას ახსოვს გ. შხვაცაბაიას დახვეწილი და ღრმაშინაარსიანი ლექციები.**

**აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას გამოქვეყნებული ჰქონდა 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო, 20 დამხმარე სახელმძღვანელო, სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის ბროშურა. მისი არაერთი ნაშრომი თუ სამეცნიერო სტატია ითარგმნა და გამოქვეყნდა საზღვარგარეთ. ბატონი გიორგი მრავალგზის იყო მიწვეული უცხოეთში სამეცნიერო მივლინებით.**

აღსანიშნავია, რომ აკადემიკოსი გ. შხვაცაბაია არამარტო უდიდესი მეცნიერი, არამედ წარმატებული სპორტსმენიც გახლდათ. იყო კარგი ტანმოვარჯიშე, ფეხბურთელი... კაპიტნობდა ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდს „ტრიუმფს“. თამაშობდა ჯერ თბილისის „დურაჯში“, შემდეგ – თბილისის „დინამოში“. იყო ამიერკავკასიის ჩემპიონი 60, 100 და 200 მეტრზე რბენაში, საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი. 1928 წელს გახდა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, 1929 წელს დაამყარა სსრ კავშირის რეკორდი სიმაღლეში ხტომაში და გახდა პირველი ქართველი ჩემპიონი და რეკორდსმენი მძლეოსნობაში.

**აკადემიკოს გიორგი შხვაცაბაიას 1960 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება, მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის „ხალხთა მეგობრობის ორდენი“, „ღირსების ორდენი“ და სხვ.**

აკადემიკოსი გიორგი შხვაცაბაია გარდაიცვალა 1993 წლის 17 მარტს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# აღიარებული და გამოჩენილი მეცნიერი

## რამაზ ხუროძე



**მრავალმხრივ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს განათლების მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს მიმდინარე წლის 9 ნოემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

აკადემიკოს რამაზ ხუროძეს საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია (სახელმძღვანელო) მართვის სისტემების საიმედოობრივი დაგეგმვის, მასობრივი მომსახურების სისტემების შექმნისა და ხელოვნური ინტელექტის ამოცანების ინოვაციური მეთოდებით გადაწყვეტის საკითხებში, არის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედლით და სხვ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულთბილად ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს აკადემიკოს რამაზ ხუროძეს და უსურვებს ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნისა და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# უნივერსიტეტის პირველი სტუდენტისადმი მიძღვნილი წიგნი-ალბომი

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ უნივერსიტეტის პირველი სტუდენტისადმი მიძღვნილი წიგნი-ალბომი წარადგინა.**

**ჯაბა სამუშიამ წიგნი-ალბომის „მედეა ღამბაშიძე პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტის“ პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ წიგნში გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ ეპოქის ისტორიას, იმდროინდელი ცხოვრების წესსა და ადამიანების შეხედულებებს სხვადასხვა საკითხის მიმართ.**

**„თსუ ყოველთვის იყო და იქნება იმის მაგალითი, როგორ უნდა უპატრონოს ერმა საკუთარ ისტორიას. ეს წიგნი არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ილუსტრაცია“.**

გამოცემა ეძღვნება ქართული ემიგრაციის სახელოვან წარმომადგენელს მედეა ღამბაშიძეს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის) პირველი სტუდენტი გახლდათ. სწორედ მის სახელზე გაიცა 1918 წელს პირველი სტუდენტური ბარათი. მედეა ღამბაშიძემ მხოლოდ სამი სასწავლო კურსის გავლა შეძლო, ვინაიდან, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ იძულებული იყო, ოჯახთან ერთად ქვეყანა დაეტოვებინა. მან ემიგრაციაში უაღრესად საინტერესო ცხოვრება განვლო.

თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, წიგნში მკითხველი გაეცნობა მედეა ღამბაშიძის ცხოვრებას, თსუ-ის 50 წლის საიუბილეოდ მომზადებულ სტატიას, ჩანაწერებს მისივე პირადი დღიურიდან, ასევე, საქორწინო მისალოც წერილებსა და დეპეშებს, პირველი ვაჟის, რეზიკოსადმი მიძღვნილ ემოციურ დღიურს, მეგობრების ჩანაწერებს, 1921 წლის ქართველი ემიგრაციის შთამომავალთა მოგონებებს მედეას შესახებ, ასევე, ფონდი „ტასოს“ მხარდაჭერით მომზადებულ „ქალთა მეხსიერების“ ზეპირი ისტორიების ციკლს.

**„წიგნში დაბეჭდილია მხატვრული ნაწარმოები: „პირველი თოვლი“, რომელიც მედეას ქალიშვილის ნათელა ნიკოლაძის მოსაზრებით, დედამისს ეკუთვნის. მკითხველი, ასევე გაეცნობა მნიშვნელოვან ფოტომასალას, რომლის დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.**

**წიგნი-ალბომი „მედეა ღამბაშიძე პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი“ – საქართველოს ფოსტის მხარდაჭერით გამოიცა. ღონისძიების ფარგლებში რექტორმა ჯაბა სამუშიამ საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე უნივერსიტეტის მხარდაჭერასა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა.**

**ღონისძიებაზე თსუ ბიბლიოთეკის „მეგობართა კლუბის“ წევრებმა მედეა ღამბაშიძის დღიურები წაიკითხეს“.**



# ოპოზიციას ისეთი ლიდერი არა ჰყავს, რომელსაც ხალხის აყოლიება შეუძლია!

**როგორ განვითარდება არჩევნების შემდეგ საქართველოში მოვლენები და არის თუ არა ოპოზიციის გეგმა ის გზამკვლევი, რომელიც მათ გამარჯვებამდე მიიყვანს? რას ელოდება დასავლეთი და რატომ არ ულოცავს ევროპა ჯერჯეროზით „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებას? ამ და სხვა თემებზე for.ge-სთან ინტერვიუში კონფლიქტოლოგი მამუკა არეშიძე საუბრობს, რომელიც მიიჩნევს, რომ მეტწილად, ბოლო ორ თვეში საქართველოში განვითარებული მოვლენები დასავლეთში მიმდინარე პროცესებზეც იქნა დამოკიდებული.**

**დასავლეთში მიმდინარეობს კულუარული მოლაპარაკებები მსხვილ მოთამაშეებსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის**

***— ოპოზიციამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა და უკვე რამდენიმე დღეა, ისინი ყოველდღე აქციების გამართვას ცდილობენ. როგორია თქვენი მოლოდინი, არის ეს ის გეგმა, რომლითაც ოპოზიციას გამარჯვების მოპოვება, ან რაიმე ხელშესახები შედეგის მიღება შეუძლია?***

— ფაქტია, რომ ოპოზიციამ ამ ეტაპზე ვერ შეძლო ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის სრული კონსოლიდაცია და მათი ქუჩის აქციებში ჩართვა. ოპოზიცია მასიური გაყალბების ფაქტების წარმოდგენას ვერ ახერხებს. აქედან გამომდინარე, მათი გეგმა არ ჩანს და ზუსტად ეს პრეტენზიები აქვს მისსავე ამომრჩეველს, რას მისცემს ეს ყოველდღიური ქუჩის აქციები ოპოზიციას. ეს არის ძალიან ნაცნობი მეთოდი, რომელიც ფაქტია, მათსავე ამომრჩევლისთვის არ არის მისაღები. ასევე არსებობს ოპოზიციურად განწყობილი რამდენიმე ტიპის ამომრჩეველი: პირველი – რომლისთვისაც სულ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ოპოზიციაში, ოღონდ „ოცნება“ მოიშორონ. მეორე, რომელსაც პიროვნებებზე აქვს გათვლა, მესამე კი პოლიტიკური გემოვნების მატარებელი ამომრჩეველია. ვერც ერთი ამ კატეგორიის ხალხის გაერთიანება ამ ეტაპზე ოპოზიციამ ვერ შეძლო. ამიტომ მიჭირს იმის თქმა, რომ ამ გეგმით ისინი რამის მიღწევას შეძლებენ.

***— თავად ოპოზიციაში ხომ არ არის პრობლემები. ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი ამბობს, რომ ლიდერების პრობლემაც არის. ასევე, ამ ლიდერებს, ვინც ახლა მართავს ამ საპროტესტო მუხტს, ერთმანეთთან არა აქვთ რეალურად კოორდინაცია. ვნახეთ გაბუტული გვარამია, რომელსაც კარვების იდეა დაუწუნეს და ასევე ოპოზიციისგან დისტანცირებული გიორგი გახარია. რა ხდება, როგორ ფიქრობთ?***

— რაც ჩანს, ის არის, რომ ოპოზიციაში რეალურად ერთი პირი არა აქვთ, იმის მიუხედავად, რომ თამაშობენ, თითქოს შეთანხმებულები არიან ყველაფერზე. გახარიას დისტანცირება კი ამ გარემოებას ხაზს უსვამს. ასევე ამ ლიდერების სხვადასხვა ხარისხის აქტივობებიდანაც ჩანს, რომ გეგმა, რომელიც წარმოადგინეს, ყველა მათგანისთვის მისაღები არ არის. თქვენი ნათქვამის არ იყოს, გვარამია არ ჩანს, მაგრამ ჩანს მელია. რასაკვირველია, ეს გარკვეულ ზემოქმედებას მათ მხარდამჭერ ელექტორატზე ახდენს. ამიტომ არის ასეთი თვალშისაცემი სოციალურ ქსელში ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის უკმაყოფილება. ქარიზმატული ლიდერის დეფიციტიც ნათელია. ჯერ ერთი, ვერაფრით ვერ ჩამოყალიბდნენ, ვინ შეიძლება ამ საერთო მოძრაობის ერთი ლიდერი იყოს. მეორეა, რომ ამის საშუალებას თავად ოპოზიცია არავის მისცემს. ისინი მიიჩნევენ, რომ იქ ლიდერთა გალერეაა. ასეთ ვითარებაში კი ყოველთვის კარგია, რომ ქარიზმატული პიროვნება იყოს წინა პლანზე წარმოდგენილი, რომელსაც მასების აყოლიება შეუძლია. ამათ კი ამის უნარი არა აქვთ. თავთავიანთი ამომრჩევლის აყოლიება შეუძლიათ, მაგრამ ეს ხალხიც არ არის ერთგვაროვანი. ამიტომ ოპოზიციას უჭირს ამ მიზეზების გამო საკუთარი მხარდამჭერების ქუჩაში გამოყვანა.

***— თქვენ ოპოზიციაში ლიდერი ახსენეთ და აუცილებლად პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის ფაქტორი მინდა განვიხილოთ. გვახსოვს, არჩევნების მეორე დღეს მთელი ოპოზიცია რომ მასთან მივიდა და შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ის იქნებოდა ამ პროცესების ლიდერი. ის რუსთაველზეც მივიდა, სიტყვით მიმართა შეკრებილ ხალხს, თუმცა 4 ნოემბრის აქციაზე აღარ გამოჩენილა. ამ დღეებში აღარ აკეთებს რაიმე მკვეთრ განცხადებებს. რა მოხდა, ზურაბიშვილი ვერ გახდა ამ პროცესების ლიდერი?***

— საქმე ისაა, რომ ზურაბიშვილს უნდოდა, ამ პოლიტიკური სეგმენტის ლიდერი ყოფილიყო. ოპოზიციურ ლიდერებს კი უნდოდათ, რომ ის როგორც მექანიზმი ისე გამოეყენებინათ, ანუ პრეზიდენტი და მისი ინსტიტუტი სურდათ მხოლოდ. რა თქმა უნდა, ერთმანეთს შორის კომუნიკაციის შედეგად ეს ყველაფერი გაირკვა, ამიტომ ზურაბიშვილმა ამ პოლიტიკური ლიდერების სათამაშოს როლში ყოფნა არ ისურვა. ამიტომაც არ მივიდა ის 4 ნოემბერს რუსთაველის მოედანზე.

გარდა ამისა, ერთი რამეც არის, რომ ზურაბიშვილმა ფატალური შეცდომა დაუშვა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის ფუნქცია არბიტრის ფუნქციაა. გარდა ამისა, ოპოზიციამაც დაუსვა შეცდომა, როცა თავის დროზე, ზურაბიშვილი მიწასთან გაასწორეს, როცა მას პრეზიდენტად ირჩევდნენ. ისეთი სიტყვებით ამკობდნენ ზურაბიშვილს, რომ ნებისმიერი მათგანის დადებითი შეფასება პრეზიდენტის მიმართ, უკვე საზოგადოებისთვის ირონიულია. ეს ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველშიც ჩანს, რადგან მათი მხრიდან ზურაბიშვილი იმდენჯერ იყო ნაგინები, რომ ახლა ლიდერად ვერაფრით იქცეოდა.

***— ოპოზიციისთვის, როგორც თავად ამბობენ, საკვანძო პარლამენტის პირველი სხდომა იქნება, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით 1 დეკემბრამდე უნდა შეიკრიბოს. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ამ დღეს, რას შეძლებს ოპოზიცია და ამ გადმოსახედიდან რისი რესურსი გააჩნიათ?***

— მოდი, ასე ვთქვათ, რომ ჯერ, პირველ დეკემბრამდე უნდა მივიდეთ. ყოველ დღეს რაღაც ახალი ამბავი მოაქვს. ამიტომ რას იზამს ოპოზიცია, როგორი იქნება საერთაშორისო რეაქციები, საბოლოო ჯამში, მაინც ყველაფერი ამაზე იქნება დამოკიდებული. თუმცა წყნარი ორი თვე რომ არ გველის, ფაქტია...

***— არჩევნების ლეგიტიმაციის თემას მინდა შევეხოთ, სადაც ოპოზიციის არგუმენტით დასავლეთმა „ქართული ოცნების“ გამარჯვება არ აღიარა. ვნახეთ ბაიდენის ორაზროვანი განცხადებაც. რას ელოდება დასავლეთი, რატომ არის გაჩუმებული და რაზე იქნება მათი გადაწყვეტილება დამოკიდებული? საქართველო სტრატეგიულად მათთვისაც მნიშვნელოვანი ქვეყანაა, წავლენ დათმობაზე?***

— რა თქმა უნდა, დიდი პოლიტიკის თვალსაზრისით, დასავლეთისთვის კავკასიის რეგიონი უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. სანქცირებული რუსეთის ფონზე, როდესაც მისი რკინიგზა, ჩინეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი გზაა, როდესაც ჩინეთი ევროპამდე თავისი ტვირთების მიტანის ახალ გზებს ეძებს, ხოლო ეს გზა სამხრეთ კავკასიაზე გადის, მისი მნიშვნელობა ერთიორად იზრდება. ხოლო თუკი ეს ურთიერთობა მჭიდრო გახდება და ეს გზა გაივლის საქართველოზე, დასავლეთს სურს, რომ მას თავად აკონტროლებდეს. დღეს ეს მექანიზმი ჰაერშია გამოკიდებული. ისინი ფიქრობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებიდან გამომდინარე, მკაფიოდ არ ჩანს, ხვალ ამ მარშრუტს ვინ გააკონტროლებს.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ჩინეთის ტვირთის ასე უკონტროლოდ ტარება მიუღებელია, როგორც დასავლეთისთვის, ასევე რუსეთისთვისაც. ამიტომ ახლა კულუარული ბრძოლა მიდის იმის თაობაზე, ვინ გააკონტროლებს საქართველოს. ამ ხელისუფლების ხელში იქნება, თუ სხვა ხელისუფლების, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთია ის პოლიტიკური სურათი, რაც ზედაპირზე დევს და მეორე – რაც კულუარებში ხდება.

ამიტომ როცა მკითხეთ, რას ელოდებიან დასავლეთში, გიპასუხებთ, რომ იქ მიმდინარეობს კულუარული მოლაპარაკებები. ერთი მხრივ შეხვედრები, მოლაპარაკებები სხვადასხვა მსხვილ მოთამაშეებს შორის, პლუს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ასევე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც მსოფლიო საფინანსო ეკონომიკას ქმნიან. ამიტომ რთულია იმის თქმა, ეს მოლაპარაკება რით დამთავრდება. ამიტომ ყველაფერი ჰაერშია ჯერ და გადაწყვეტილებები არ არის მიღებული.

***— ალბათ, ამერიკის არჩევნებიც გახდება დიდი გარდატეხის მომტანი მსოფლიოსთვის და მათ შორის ჩვენი ქვეყნისთვისაც. უკვე ვიცით, რომ ტრამპი თეთრ სახლში ბრუნდება. ასევე, გვსმენია ჩვენი ხელისუფლების მხრიდან განცხადებები და მოლოდინი მის გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვიცით ისიც, რომ ოპოზიცია დიდად არ გულშემატკივრობდა ტრამპის გამარჯვებას. რა იცვლება ამით საქართველოსთვის?***

— მე ამერიკის ინტერესების და მიდგომების ცვლილების დიდად არ მჯერა. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოსთან დაკავშირებით არ შეიცვლება და ეს მუდმივია. თუმცა რაღაც კორექტივები აუცილებლად შევა, შესაძლოა, ეს იყოს ელგბეტე კანონთან დაკავშირებით. ამის თაობაზე საუბარი, ალბათ, აღარც იქნება, თუმცა ზეწოლა გაგრძელდება. ამის მიზეზი არის ის, რომ ამერიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვექტორი არ შეცვალოს. შესაძლოა, უკან გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით „ოცნებამაც“ დაიხიოს.

**ზურაბიშვილმა ფატალური შეცდომა დაუშვა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის ფუნქცია არბიტრის ფუნქციაა. გარდა ამისა, ოპოზიციამაც დაუსვა შეცდომა, როცა თავის დროზე ზურაბიშვილი მიწასთან გაასწორეს, როცა მას პრეზიდენტად ირჩევდნენ. ისეთი სიტყვებით ამკობდნენ ზურაბიშვილს, რომ ნებისმიერი მათგანის დადებითი შეფასება პრეზიდენტის მიმართ, უკვე საზოგადოებისთვის ირონიულია. ეს ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველშიც ჩანს, რადგან მათი მხრიდან ზურაბიშვილი იმდენჯერ იყო ნაგინები, რომ ახლა ლიდერად ვერაფრით იქცეოდა.**



ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

# KIU-ში საბავშვო უნივერსიტეტი გაიხსნა

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) საბავშვო უნივერსიტეტის გახსნის ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც KIU-ს რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ პირველი საჯარო ლექცია თემაზე – „რა არის სამართლიანობა?“ წაიკითხა.**

რექტორის თქმით, KIU ახალგაზრდებს კიდევ არაერთ საინტერესო აქტივობას შესთავაზებს, რაც მათ ხელს შეუწყობს, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის გზაზე უნიკალური გამოცდილება დააგროვონ.

პირველ საჯარო ლექციას იმერეთის რეგიონის სკოლების მე-9 - მე-12 კლასების 400-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო. მონაწილეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და თავიანთი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა ჰქონდათ.

ლექციის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა დაათვალიერეს საუნივერსიტეტო ქალაქი, გაეცნენ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ეკოსისტემას, კომფორტულ და სრულად აღჭურვილ საცხოვრებელ სივრცეს, კაფეტერიას, ბიბლიოთეკას, საერთო სამუშაო სივრცეებს, ინტერაქტიური სწავლის მართვის სისტემას და ინფრასტრუქტურას, რაც მნიშვნელოვანია მაღალი დონის სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების ჩატარებისათვის.

ღონისძიებაში მონაწილეობა იმერეთის რეგიონის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს.



# მხოლოდ ჯანსაღი, ძლიერი ეროვნული „მესამე ძალა“ გვჭირდება

**საზოგადოება ქართული**

## საზოგადოება „ქართული“: ფაქტია, 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების არაღიარება და ბოიკოტი კვლავ გარედან იმართება „ოცნების“ მხრიდან მეორე ფრონტის გახსნაზე უარის თქმის გამო.

**საზოგადოება „ქართული“ ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდებს, გაემიჯნონ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის განაყოფებს.**

როგორც საზოგადოება „ქართულის“ მიმართვაშია აღნიშნული, მამუკა ხაზარაძისა და გიორგი გახარიას პარტიებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, რომ გაემიჯნონ დესტრუქციულ ოპოზიციას, მათ რადიკალიზმს, უარი თქვან გარედან ავტომატური მართვის რეჟიმზე და იქცნენ რეალურად „მესამე ძალად“.

**ახალგაზრდებმა** მხოლოდ მონაყოლით იციან, შედარებით უფროსი თაობა კი თვითმხილველია, თუ რა მოუტანა საქართველოს პოლიტიკურმა რადიკალიზმმა და ზღვარგადასულმა პოლარიზაციამ – სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და ცხინვალის ტრაგედიები და ეკონომიკის ნგრევა. მიზეზებზე დღემდე მიმდინარეობს კამათი, თუმცა, ცხადია, რომ, საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერზე პასუხისმგებელია ქართული პოლიტიკური კლასი, რომელსაც არ ეყო უნარი და გამოცდილება, ემოქმედა საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

მოარული გამოთქმა, რომ ყველაფერზე, კარგზეც და ცუდზეც, პასუხისმგებელი არის ხელისუფლება, გარკვეულწილად სწორია, თუმცა – გაზვიადებული. პოლიტიკური კლასი შედგება არა მხოლოდ მმართველი ძალისგან, არამედ ოპოზიციის ფართო სპექტრისგანაც. საქართველოს დამოუკიდებლობის განვლილი სამი ათეული წელი ადასტურებს, რომ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე არანაკლები პასუხისმგებელია ოპოზიცია, რომელიც დღემდე რჩება ქართული პოლიტიკის თავის ტკივილად.

დამოუკიდებელ პირველ ქართულ ხელისუფლებას, სეპარატისტული ანკლავების სახით, იმპერიამ ნაღმები დაუტოვა. ზვიად გამსახურდიამ სცადა, მშვიდობიანად მოეგვარებინა პრობლემები ცხინვალის რეგიონში და დაელაგებინა ურთიერთობები რუსეთთან, რაც სტრატეგიული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა იყო. 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში პრეზიდენტებმა ზვიად გამსახურდიამ და ბორის ელცინმა შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომელიც ითვალისწინებდა: ერთობლივი ძალებით ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე უკანონო ფორმირებების განიარაღებას, კონფლიქტის ზონიდან ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილების გაყვანას, დევნილების სახლებში დაბრუნებას და საბოლოო მშვიდობის დამყარებას. თუმცა, სექტემბრიდან საქართველოში მოხდა დაძაბულობის ესკალაცია იმ ოპოზიციური ძალების მხრიდან, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს 1990 წლის პირველ მრავალპარტიულ არჩევნებს, ჩამოაყალიბეს ე.წ. ალტერნატიული პარლამენტი ეროვნული კონგრესის სახით და თბილისის ცენტრში ბარიკადებიააგეს. საბოლოოდ, ეს დაპირისპირება და პოლიტიკური რადიკალიზმი დამთავრდა უდიდესი ტრაგედიით – 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის „თბილისის ომით“, რამაც მომდევნო წლებში ქვეყნისთვის დამანგრეველი ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია: ომი აფხაზეთში, სამოქალაქო ომი დასავლეთ საქართველოში, ეკონომიკური კოლაფსი და კრიმინალის თარეში.

**ცხადია, მაშინდელი ხელისუფლება ვერ მოიხსნის ასეთი მოვლენების განვითარებისთვის პასუხისმგებლობას, თუმცა ბრალეულობის მთავარი ტვირთი მაინც მაშინდელ ოპოზიციაზეა თავისი რადიკალიზმით, არასახელმწიფოებრივი მიდგომებით, სუბიექტურის საზოგადოზე მაღლა დაყენებით, უსაფუძვლო ამბიციებითა და სულსწრაფობით, რაც ოსტატურად გამოიყენეს გარედან მართულმა კრიმინალურმა ძალებმა და ძალადობრივად ჩამოაგდეს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლება. ეს უნდა ითქვას ღიად, რადგან, სამწუხაროდ, 90-იანი წლების ქაოსმა ჩვენს ოპოზიციას ჭკუა ვერ ასწავლა და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოში ხშირად ისევ ძველი, გარეთ დაწერილი ანტისახელმწიფოებრივი სცენარებით მიმდინარეობს.**

არანაკლებ ტრაგიკული გამოდგა ოპოზიციის არასახელმწიფოებრივი ქმედებები შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც, როცა გაჩნდა ისტორიული პერსპექტივა, საქართველოს აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა. 1996 წელს რუსეთმა და დსთ-ის სახელმწიფოებმა აფხაზ სეპარატისტებს სანქციები და ეკონომიკური ბლოკადა დაუწესეს, რადგან აფხაზური მხარე ქართველი დევნილების დაბრუნებაზე უარს აცხადებდა. 1997 წელს რუსეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა თბილისში მთავარი სეპარატისტი ვლადისლავ არძინბა ჩამოიყვანა. 2000-იანი წლების დასაწყისში საკითხის გადაწყვეტა თითქმის მომწიფებული იყო, თუმცა გარედან მართულმა ოპოზიციურმა პარტიებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს, რასაც მოჰყვა 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მთავრობის საკვანძო ფიგურების გადადგომა და შევარდნაძის ძალაუფლების ჩამოშლა. ეს იყო ხელისუფლების დამხობის გარე ძალების შემუშავებული გეგმის რეპეტიცია, რაც საბოლოოდ 2003 წლის 23 ნოემბერს დაგვირგვინდა. შედეგად, საქართველო გავლენის ორ სფეროდ დაიყო, აფხაზეთის საკითხი კი კვლავ ჩიხში შევიდა – რუსეთმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და სეპარატისტებს ჯერ სანქციები მოუხსნა, 2008 წლის ომის შემდეგ კი აღიარა.

ოპოზიცია, მიუხედავად ჯანსაღი შემადგენლობის, გულწრფელი მიზნებისა და სიმართლისა, ვერც სააკაშვილის რეჟიმის დროს გახდა პოლიტიკურად წონადი და ანგარიშგასაწევი ძალა. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ბოიკოტისა და მანდატებზე უარის თქმის გადაწყვეტილებით, ოპოზიციამ პოლიტიკური პროცესი პირწმინდად წააგო. სამაგიეროდ, ძლიერი ოპოზიციის გარეშე დარჩენილ სააკაშვილის რეჟიმს გაუმყარდა დაუსჯელობის სინდრომი, ახალი სიმძლავრით აამუშავა ძალმომრეობის დანაშაულებრივი მანქანა და გარედან კარნახით ჩაერთო ავანტიურისტულ ომში, რომლის შედეგებსაც დღემდე ვიმკით.

**უახლეს ისტორიაში ერთადერთი მაგალითი, როცა ოპოზიციამ შეძლო ემოქმედა პრაგმატიზმით და სახელმწიფოებრივად, იყო 2011 წელი, როცა პოლიტიკაში მოსული ბიძინა ივანიშვილის წინაშე ერთდროულად რამდენიმე ფართომასშტაბიანი გამოწვევა იყო – საგარეო ზეწოლა, სააკაშვილის რეჟიმის ძალმომრეობა, ოპოზიციით ტოტალურად იმედგაცრუებული ამომრჩეველი და ქვეყანაში დასადგურებული შიში. მიუხედავად ამისა, ბიძინა ივანიშვილმა არ გადაუხვია თავის სტრატეგიას – ხელისუფლება მშვიდობიანად შეცვლილიყო ისე, რომ ქვეყანა არ დაზიანებულიყო. ასეც მოხდა 2012 წლის პირველ ოქტომბერს და პირველად ქვეყნის ისტორიაში ნავსიც გატყდა.**

სამწუხაროდ, ეს წარმატებული თუ წინა მარცხიანი მაგალითები ქართული ოპოზიციური სპექტრისთვის არ გადაზრდილა გამოცდილებაში, რადგან ოპოზიციური ველი მთლიანად მონოპოლიზებული აღმოჩნდა გარედან მართული რადიკალური და რევანშისტული „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. თუმცა, ისტორია მასაც ისე ექცევა, როგორც ყველა სხვა რადიკალს – მუდმივი დესტრუქციის, სიძულვილის ენის, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისა და საკუთარი ამომრჩევლისადმი უპატივცემულობის შედეგად 2020 წლის შემდეგ ეს პარტია გაიხლიჩა, 2024 წლის არჩევნებში კი საკუთარმა განაყოფმა აჯობა და „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ დასრულდა, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა.

განვლილი წლები გვასწავლის, რომ ბოიკოტი და არჩევნების შედეგების არაღიარება არის ქართული პოლიტიკური კლასის უმწიფრობის შედეგი, რასაც გარე ძალები ხშირად იარაღად იყენებენ ქართულ პოლიტიკაში ქაოსის დათესვისა და ქვეყნისთვის დამაზიანებელი პოლიტიკური კრიზისის ხელოვნურად გამოწვევისთვის. ეს გარე ძალები შემდეგ თავად გვევლინებიან მომრიგებლის როლში. ასე მოხდა 2020 წელს, როდესაც ოპოზიცია ახალარჩეულ პარლამენტს არ აღიარებდა, რის გამოც ქართულ პოლიტიკაში მთავარი ფიგურები გახდნენ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩები.

**ფაქტია, 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების არაღიარება და ბოიკოტი კვლავ გარედან იმართება „ოცნების“ მხრიდან მეორე ფრონტის გახსნაზე უარის თქმის გამო. შესაბამისად, უცხოური ინსტრუქციების ბრმად შემსრულებელი პოლიტიკური ლიდერების ქმედებაში სახელმწიფოებრივად არც ლოგიკა ჩანს და არც საღი აზრი. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რას აპროტესტებენ მამუკა ხაზარაძე და გიორგი გახარია, როდესაც მათ პარტიებთან დაკავშირებით ცესკო-ს მონაცემები თითქმის დაემთხვა „ედისონ რისერჩის“ ეგზიტპოლებს, გამოდის, რომ ისინი აპროტესტებენ „ნაცმოძრაობის“ მარცხს და იმას, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდა?!**

ვფიქრობთ, მამუკა ხაზარაძისა და გიორგი გახარიას პარტიებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, რომ გაემიჯნონ დესტრუქციულ ოპოზიციას, მათ რადიკალიზმს, უარი თქვან გარედან ავტომატური მართვის რეჟიმზე და იქცნენ რეალურად „მესამე ძალად“ იმით, რომ გახდნენ პრაგმატულები, კონსტრუქციულები და ქართულ თემებზე ორიენტირებულები.

სხვა თუ არაფერი, ამით ისინი იმასაც დაამტკიცებენ, რომ არ არიან ფარულ ალიანსში „ნაციონალებთან“ და საჯარო სივრცეში გავრცელებული მოსაზრება 26 ოქტომბრის დღის მეორე ნახევარში მათთვის „ნაციონალური მოძრაობის“ ხმების მობილიზების შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს. გლობალურად ნეოლიბერალიზმის მარცხისა და ამერიკაში კონსერვატორი ტრამპის დაბრუნების პირობებში, ეს მათთვის ისტორიის მიერ მიცემული შესაძლებლობაა, რომლის გამოუყენებლობის შემთხვევაში ისინი გადაინაცვლებენ პოლიტიკურ სასაფლაოზე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული პოლიტიკის აქილევსის ქუსლი იყო და არის ოპოზიცია, რომელსაც უცხოურ პოლიტიკურ წრეებთან პარტნიორობა პატრონყმობა ჰგონია და აზრს საკუთარ ამომრჩეველს კი არ ეკითხება, არამედ სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში მიღებული ინსტრუქციებით მოქმედებს. უფრო მეტიც, გადამწყვეტ მომენტებში ქვეყნის ინტერესებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ საგარეო დაკვეთით ცდილობს დესტაბილიზაციისა და ქაოსის გამოწვევას.

ფაქტია, რომ ვიდრე ოპოზიცია პოლიტიკურად არ გაიზრდება, არ ისწავლის გეოპოლიტიკური პროცესების გათვალისწინებას, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგომას, გარე ძალებზე წინ საკუთარი ხალხის დაყენებას და რეალური პოლიტიკის განხორციელებას არ დაიწყებს, მანამდე ქართული სახელმწიფოს ნავი იქნება მუდმივ პოლიტიკურ რყევებში. ამიტომ ქართული პოლიტიკის უპირველესი ამოცანა დღეს არის ჯანსაღი, ქვეყნის და ერის ინტერესებზე ორიენტირებული ძლიერი ოპოზიციის შექმნა!




**ქართული პოლიტიკის აქილევსის ქუსლი იყო და არის ოპოზიცია, რომელსაც უცხოურ პოლიტიკურ წრეებთან პარტნიორობა პატრონყმობა ჰგონია და აზრს საკუთარ ამომრჩეველს კი არ ეკითხება, არამედ სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში მიღებული ინსტრუქციებით მოქმედებს. უფრო მეტიც, გადამწყვეტ მომენტებში ქვეყნის ინტერესებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ საგარეო დაკვეთით ცდილობს დესტაბილიზაციისა და ქაოსის გამოწვევას.**

# ელენე ახვლედიანის განახლებული სახლ-მუზეუმი





**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფში შემავალი ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 2024 წლის დასაწყისში კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით დაიწყო, წარმატებით დასრულდა.**

,,პროექტის ფარგლებში სრული რემონტი ჩაუტარდა სახლ-მუზეუმს და აღიჭურვა უახლესი, სამუზეუმო სტანდარტის შესაბამისი გათბობა-გაგრილებისა და განათების სისტემებით; მოეწყო ფონდსაცავი; განახლდა ელექტროგაყვანილობისა და წყალგაყვანილობის სისტემები.

განახლებულ სახლ-მუზეუმში განხორციელდა მუზეოგრაფიის პროექტი, რომლის მიზანი იყო სრულად აღდგენილიყო ელენე ახვლედიანის საცხოვრებლისა და სახელოსნოს პირვანდელი გარემო, განსაკუთრებით მხატვრის საცხოვრებლის ნაწილი. აღდგა მუზეუმის საგამოფენო სივრცე; ექსპოზიციაში მცირედი ცვლილებით სრულად გამოიფინა მუზეუმის გახსნის დროს საგამოფენოდ შერჩეული ნამუშევრები, როგორც ეს თავად მხატვარს ჰქონდა გამოფენილი თავის ბინა-სახელოსნოში.

მუზეუმი კამერული კონცერტებისა და სხვადასხვა საღამოების გამართვას გეგმავს, რაც ამ მუზეუმის დიდ ტრადიციას წარმოადგენს და რომელსაც საფუძველი თავად ელენე ახვლედიანმა ჩაუყარა.

მხატვრის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია შპს „აბსოლუტპლუსმა" განახორციელა; სამუშაოების ღირებულება 376 180 ლარია".

# ხელოვნების სასახლეს ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ივანე გოკიელის არქივი გადაეცა




**ხელოვნების სასახლეს რიგის მოდერნიზმის მუზეუმში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ივანე გოკიელის ლატვიაში მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები გადაეცა. ინფორმაციას გიორგი კალანდია ავრცელებს.**

„ძალიან კარგი და სასიხარულო ამბები მაქვს: დღეს რიგაში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, სიმფონიური ორკესტრის ერთ-ერთი ფუძემდებლის ივანე გოკიელის არქივის ნაწილი გადმოგვეცა. მე, როგორც ხელოვნების სასახლის დირექტორმა და ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელმა ნიკა ახალბედაშვილმა, შეხვედრები გავმართეთ ლატვიის დეკორატიული ხელოვნების და რიგის მოდერნიზმის მუზეუმის წარმომადგენლებთან. სწორედ რიგის მოდერნიზმის მუზეუმში გადმოგვეცა მუდმივი მფლობელობისათვის ქართველი კომპოზიტორის ლატვიაში მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

არქივის შემადგენელი ნაწილია ლატვიელი მომღერლის მილდა ბრეჰმანე-შტენგელის გასტროლების ამსახველი მემუარებიც. ის წერდა: **„მსოფლიოს არაერთ გამორჩეულ ადგილას ვყოფილვარ, თუმცა თბილისი ის ერთადერთი ქალაქია, რომელიც თვალცრემლიანმა დავტოვე"...**

ხელოვნების მუზეუმის დირექტორთან ერთად დავათვალიერეთ არქივებსა და საცავებში დაცული საქართველოში მოღვაწე ლატვიელი მხატვრის, მეცნიერის და ეთნოგრაფის იული სტრაუმეს შემოქმედებითი მემკვიდრეობაც და ურთიერთთანამშრომლობის საინტერესო პერსპექტივები დავსახეთ... მოხარულები ვართ, რომ ლატვიაში ქართველთა ნაყოფიერი მოღვაწეობის დამადასტურებელი მასალების სამშობლოში დაბრუნების საპატიო მისია გვერგო. ასევე გამოვხატავთ განსაკუთრებულ მადლიერებას ლატვიელი კოლეგების მისამართით გამოჩენილი ნდობისა და მეგობრობისათვის"...



# მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის და მსოფლიო ბანკის მორიგი აღიარება!

**მსოფლიო ბანკმა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევა, რომელიც მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების მეთოდოლოგიით გადამუშავდა, ქმნის გლობალურ რეიტინგს მმართველობის ეფექტურობის, კორუფციის კონტროლის, კანონის უზენაესობის, რეგულაციების ხარისხის მიმართულებებით.**

კორუფციის კონტროლის რეიტინგში საქართველომ შეფასების 100%-იანი სისტემით 67%-ი დაიმსახურა და მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის მე-20, ევროპაში კი მე-11 ადგილი დაიკავა. კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის ყველა კანდიდატს, ევროკავშირის და ნატოს წევრ 25 ქვეყანას და დიდი შვიდეულის წევრ 5 სახელმწიფოს. ეს ქვეყნებია: დიდი ბრიტანეთი, ლიეტუვა, გერმანია, შეერთებული შტატები, შვედეთი, პორტუგალია, კანადა, ბელგია, ალბანეთი, სლოვენია, კვიპროსი, საბერძნეთი, ჩეხეთი, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ლატვია, უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი, მალტა, სლოვაკეთი, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია.

✦ ✦ ✦

**მსოფლიო** ეკონომიკური ფორუმის გამოკითხვის მიხედვით შთამბეჭდავი შედეგი აჩვენა საქართველომ კანონის უზენაესობის მიმართულებითაც. შეფასების 100%-იანი სისტემით საქართველომ 64%-ი აიღო და რეიტინგში სახელმწიფოთა შორის 30-ე ევროპაში კი მე-14 ადგილი დაიკავა. კანონის უზენაესობით საქართველომ გაასწრო ევროკავშირის ყველა კანდიდატს, ევროკავშირის და ნატოს წევრ 21 სახელმწიფოს, მათ შორის დიდი შვიდეულის წევრ 3 ქვეყანას. ეს სახელმწიფოებია: კანადა, საფრანგეთი, შვედეთი, ბელგია, პორტუგალია, სლოვენია, კვიპროსი, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ლატვია, უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი, მალტა, სლოვაკეთი, ალბანეთი, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია.

✦ ✦ ✦

**გლობალური** კონკურენტუნარიანობის გამოკითხვის საფუძველზე „რეგულაციების ხარისხის" რეიტინგში საქართველომ შეფასების 100%-იანი სისტემით 69%-ი აიღო და სახელმწიფოებს შორის კი მე-5 ადგილზე გავიდა, ევროპაში კი ფინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის საფუძველზე „რეგულაციების ხარისხი" შეფასდა ორი კრიტერიუმით – სამთავრობო რეგულირების ტვირთი და არასატარიფო ბარიერების გავრცელება.

✦ ✦ ✦

**მმართველობის** ეფექტურობის რეიტინგში საქართველომ შეფასების 100%-იანი სისტემით 61%-ი დაიმსახურა და მსოფლიოში სახელმწიფოებს შორის 34-ე, ევროპის საუკეთესო ოცეულში კი მე-19 ადგილი დაიკავა.

მმართველობის ეფექტურობით საქართველო უსწრებს ევროკავშირის ყველა კანდიდატს, ევროკავშირის და ნატოს წევრ 17 ქვეყანას და დიდი შვიდეულის წევრ 1 სახელმწიფოს. ეს ქვეყნებია: სლოვენია, ისლანდია, ბელგია, იტალია, კვიპროსი, ჩეხეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, პოლონეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, მალტა, მონტენეგრო, ბულგარეთი, ლატვია, რუმინეთი, ჩრდილოეთ მაკედონია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის საფუძველზე მმართველობის ეფექტურობა შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით:

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის გამოკვლევის შედეგების გადამუშავებული სარეიტინგო ანგარიში მსოფლიო ბანკმა ექსკლუზიურად გამოაქვეყნა გლობალური მმართველობის ინდიკატორების პროექტის ფარგლებში.



# საქმიანი შეხვედრები ლონდონში

**რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მენეჯმენტმა ლონდონში საქმიანი შეხვედრები გამართა. ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით, მსოფლიოში უმსხვილესი ტურისტული გამოფენის ფარგლებში „WTM 2024" შეხვედრები მიმდინარეობდა წამყვანი მედიასაშუალებების, ტურისტული კომპანიების, ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სარეკლამო კომპანიების წარმომადგენლებთან. მათ შორისაა: Euronews, BBC, Wanderlust, Rough Guides, National Geographic, Matador Network, Food and Travel Magazine, Adventure Travel Trade Association, Amadeus da Mail Metro Media.**

გამოფენაში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად მონაწილეობს. აჭარის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია წელს, 20-ზე მეტ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე განხორციელდა.

**ნათქვამია — ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო. ქალბატონმა რუსუდან მესხმა ეს შეძლო!**

**2002 წელს 16 წლის ასაკში პირველად თბილისის სასულიერო აკადემიის კედლებში ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.**

**მაშინ ოჯახური მდგომარეობის გამო სასწავლებლის დამთავრება ვერ შეძლო და ახლა, მეორედ, 22 წლის შემდეგ იმავე ფაკულტეტზე, კვლავ ჩააბარა გამოცდები უკვე თერთმეტი შვილის დედამ.**

**დეკანოზ დავით და რუსუდან მესხების ოჯახში ამჟამად ოთხი სტუდენტია. რუსუდანის უფროსი შვილი იოანე — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სწავლობს, თენგო — ტექნიკურ უნივერსიტეტში კომპიუტერულ მეცნიერებას ეუფლება, მარიამი — ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველკურსელია.**

# და მანაც ისმინა „ქართვლის ვედრება“

## სტუდენტურ მერხთან დაბრუნება 22 წლის შემდეგ...

**დღევანდელ დღეს, როდესაც ასე შეცვლილია საზოგადოების მენტალობა სხვადასხვა იდეოლოგიის გავლენით შვილიერებასთან დაკავშირებით, ძნელი წარმოსადგენი და გასაკვირიც კია იმის გაგება, რომ შეიძლება ვინმეს ჰყავდეს 11 შვილი.**

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცხოვრების სტილი მეტად კომფორტული და სხვადასხვა კუთხით განვითარებულია, საზოგადოების უმრავლესობას აღარ აქვს შვილების ყოლის სურვილი. ისინი იფარგლებიან 2 ან უმეტეს შემთხვევაში, 1 შვილით. ამას კი ამართლებენ იმ მიზეზით, რომ სურთ მათ ერთადერთ, სანუკვარ პირმშოს ყველაფერი ჰქონდეს და არ მოუწიოს კომფორტისა და მატერიალური კეთილდღეობის დედმამიშვილისთვის განაწილება. რა თქმა უნდა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც თავად შევსწრებივარ მშობლების მხრიდან მსგავსი დამოკიდებულების დაფიქსირებას, თან რა გინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყოველთვის აღნიშნავენ, რომ მათ შვილს დიდი სურვილი აქვს ჰყავდეს და ან ძმა და არ იყოს მარტო.

ვფიქრობ, დედმამიშვილების ყოლას ვერანაირი მატერიალური პრივილეგია ვერ დაჯაბნის. მრავალშვილიანი ოჯახი არის იმედის, სიყვარულის, მოთმინების, ბრძოლისუნარიანობის, ეგოცენტრიზმის დაძლევის, საკუთარი ვიწრო ყოფიერებიდან გამოსვლის და სხვებზე ზრუნვის დიდი სკოლა.

რა თქმა უნდა ოჯახში, იქნება ეს ბევრი ბავშვით სავსე თუ არა, უმნიშვნელოვანესი როლი ჰარმონიისა და სიმშვიდის შენარჩუნებაში აქვს მშობლების პიროვნულ ერთობას. ეს გადამწყვეტი ფაქტორია, რომ მათი ურთიერთობა იყოს ხანგრძლივი და ჭეშმარიტი. მათ უნდა გააჩნდეთ საერთო ცხოვრებისეული ხედვა და ღირებულებები ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

მხოლოდ ფუნქციურ ოჯახში და მშვიდ გარემოშია შესაძლებელი ჯანსაღი პიროვნების აღზრდა. ქაოსისა და დაძაბულობით სავსე გარემოში პიროვნება იღებს უამრავ ფსიქიკურ ტრავმას, ვეღარ ახდენს მომავალში საკუთარი თავის სხვადასხვა სფეროში სრულად და მთელი პოტენციალით რეალიზებას.

საბედნიეროდ, დღესაც არსებობენ სწორად მოაზროვნე ადამიანები, რომელნიც წმინდა ქორწინებით ცხოვრობენ და ღმერთის კანონზომიერებას არიან მინდობილნი.

ამ პუბლიკაციით სწორედ ასეთი ქალბატონი მინდა გაგაცნოთ, რომელიც თავისი პიროვნულობით, ძალითა და ცხოვრებისეული ხედვით გამორჩეული და ღირსეულია. ქალბატონ რუსუდან მესხს ჰყავს 11 შვილი: **იოანე, თენგო, მარიამი, ნიკოლოზი, ლაზარე, ანა, ნინო, გიორგი, ქეთევანი, შიო და დამიანე.**



დედიკო, (მამიკოც), გვიყვარხარ!!!

მასთან შეხვედრის დროს იგრძნობა საოცარი სითბო, სინაზე და სიყვარულით სავსე ენერგეტიკა. პირადად ძალზე მოხარული ვარ, რომ მომეცა მასთან გასაუბრების შესაძლებლობა და დიდი სიამოვნებით გაგიზიარებთ მისი ცხოვრების მოკლე ისტორიას.

ქალბატონმა რუსუდანმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ მოახერხა სადიპლომო თემაზე მუშაობა და, შესაბამისად, დიპლომის აღება. ამ ფაქტს ის ყოველთვის განიცდიდა და მთავარი მიზეზი სასულიერო აკადემიაში მისი დაბრუნებისა სწორედ ისაა, რომ სრულყოს თავისი ცოდნა და მიიღოს ამის დამადასტურებელი მოწმობაც. მეორე კურსზე ყოფნისას შეეძინა პირველი შვილი, შემდეგ, ერთი წლით აკადემიური შვებულების აღება მოუწია, მაგრამ ისევ დაბრუნდა სასწავლებელში. საბოლოოდ კი სწავლის დამთავრების დროისთვის უკვე ოთხი შვილის დედა გახლდათ. ოჯახი და სემინარიის პედაგოგ-მასწავლებლები მხარში ედგნენ და ცდილობდნენ მისთვის კომფორტული პირობების შექმნას, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში თავს მხოლოდ დედად აღიქვამდა და სხვა არაფერზე ფიქრობდა. მისთვის მთავარი იყო, ყოფილიყო კარგი მშობელი და ამაზე წინ სხვას არაფერს აყენებდა.

დროთა განმავლობაში ბავშვების გაზრდასთან ერთად გაუჩნდა სურვილი, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე შვილებისთვის ძალზე სასარგებლო იქნებოდა, რომ დაეწყო საკუთარ პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა და მხოლოდ დიასახლისობით არ შემოფარგლულიყო. მან მიზნად დაისახა პროფესიული განვითარება და დიპლომის აღებაც.მისივე თქმით, ის ყოველთვის მზადაა სიახლეებისთვის და თითოეული გადადგმული ნაბიჯი კიდევ და კიდევ მეტ მოტივაციას აძლევს მიზნისაკენ სავალ გზაზე.

მოგეხსენებათ, ცხოვრება სწორხაზოვანი არ არის და, შესაბამისად, მის ცხოვრებაშიც იყო რთული მომენტები, რომელსაც ისევ და ისევ უფლისადმი რწმენით და, სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებით უმკლავდებოდა. ის თვლის, რომ პირადი გამოცდილება პროფესიულ ცხოვრებაშიც დაეხმარება, რათა სულიერ განკურნებაში ხელი გაუმართოს მათ, ვისაც ეს სჭირდება.

ისევ შვილიერების თემას და იმ გარემოებებს დავუბრუნდეთ, რომელთაც მისცეს სურვილი, რომ მრავალშვილიანი დედა ყოფილიყო. აქ ზუსტად გთავაზობთ მის ნაამბობს: „ალბათ, ძალიან ბევრი ფაქტორია, რომელთაც მოგვცეს 11 შვილის ყოლის ძალა და სურვილი. პირველ რიგში, ეს ჩვენთვის ღვთის უდიდესი წყალობაა, რომელიც მეც და ჩემს მეუღლესაც ბედნიერებას გვანიჭებს. იმდენად დიდი სიხარული მოაქვს ყოველ პატარას, იმდენად დიდი წყალობა მოჰყვება ხოლმე შემდეგ ღვთისგანაც, როდესაც ამ ყველაფერს აღიქვამ, ხვდები, რომ ბედნიერება სწორედ შვილიერებაშია. ქალი შვილთა შობით ცხონდებაო, უთქვამთ და, ალბათ, ჩემთვის ცხონებისკენ მიმავალი გზაცაა. თუმცა, რასაკვირველია, მხოლოდ შობა არ კმარა, შევთხოვ უფალს, შემაძლებინოს აღვზარდო ისინი ჭეშმარიტ ქრისტიანებად — ღირსეულ ადამიანებად.“

პირადად ჩემთვის ძალიან სასიამოვნო მოსასმენი და წარმოსადგენი იყო, როდესაც რუსუდანმა თქვა, რომ ის მეუღლისა და შვილების ინიციატივით დადის ხოლმე თეატრში და ყველა საინტერესო ღონისძიებას მთელი ოჯახი ერთად ესწრება. ვფიქრობ, მშვენიერია რეალობასთან ასეთი დამოკიდებულება და თბილ და ნათელ ატმოსფეროში ცხოვრება.

საზოგადოდ, სიყვარული მით უფრო ნამდვილი და ხანგრძლივია, რაც მეტია მასში პიროვნული მუხტი. აქ ძალზე საინტერესოა ქალბატონი რუსუდანის აზრი მეუღლეების პიროვნულ ერთობასთან დაკავშირებით: „მეუღლეების სულიერ ერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შვილთა სწორად აღზრდისთვის. 22-წლიანმა ცოლქმრობამ ერთ მთლიანობად გვაქცია, გვაქვს საერთო მიზნები, სურვილები, მისწრაფებები. როცა მშობლები მშვიდობიანად და სიყვარულით თანაცხოვრობენ, ბავშვებიც სულიერ ჰარმონიაში არიან. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ბავშვებმა მშვიდ და სიყვარულით სავსე გარემოში იცხოვრონ.“

დარწმუნებული ვარ, არაფერია იმაზე საინტერესო და სასიხარულო, როდესაც ერთ ოჯახში 11 განსხვავებული სულიერი სამყაროს მატარებელი ბავშვი ცხოვრობს და სახლს გამუდმებით სიცოცხლის ავსებს. ჩვენმა რესპონდენტმაც დიდი სიხარულით გაგვიზიარა საკუთარი ცხოვრების სტილი ამ საკითხთან დაკავშირებით: „მრავალშვილიანი დედის ცხოვრება ზოგს ძალიან უინტერესო და უხალისო ჰგონია, სინამდვილეში, ეს ერთი დიდი საინტერესო თავგადასავალია. 11 განსხვავებული ხასიათის, ტემპერამენტის, ინტერესების მქონე ადამიანთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა. მიუხედავად საკმაოდ რთული ხასიათისა, იმდენი იდუმალი თვისება, ნიჭი და სურვილები იმალება მათში, ამ ყველაფრის ამოცნობა ერთგვარი აზარტიცაა ჩემთვის. თერთმეტივეს განსხვავებული მიდგომა სჭირდება, ერთი აღზრდის მეთოდი მეორესთან არ ამართლებს, მუდმივად ძიება და აღმოჩენა მიწევს, რომელს როგორ მივუდგე. თითოეულ მათგანში შენს პატარა ნაწილსაც ხედავ, ხანდახან ისეთ თვისებას აღმოვაჩენ ხოლმე მათში, მანამდე ჩემშიც რომ ვერ შემიცვნია და ეს ყველაფერი საკუთარ თავსაც უკეთ მაცნობს. ბავშვის პირით უფალი ღაღადებსო ... ბავშვებთან ურთიერთობით იკურნება სული და, მართლაც, უამრავი საოჯახო საქმით როგორი დაღლილიც არ უნდა იყო, მათი ერთხელ ნათქვამი – დე, მიყვარხარ, „მთელ დახარჯულ ენერგიას უკან გიბრუნებს.“

კითხვაზე, თუ რა იყო მისთვის ყველაზე დიდი სიხარულის და ბედნიერების მომნიჭებელი, გვიპასუხა: ჩვენთვის ყველაზე დიდი დღესასწაული და ლამაზად მოსაგონარი ის დღეებია, როცა ახალი პატარა შემოგვყავს სახლში. სამშობიაროდან გამოსვლისას ისეთი ბედნიერები, აღფრთოვანებულები გვხვდებიან უფროსი ბავშვები, ვერ შევადრი ამას ვერც ერთ სხვა რამით გახარებას. სულ ვამბობ ხოლმე, ამ შეხვედრის წამებისთვის ყველაფერი მიღირს მეთქი“.

დამეთანხმებით, ამ წერილში მონათხრობი ამბავი გასაოცარია. მინდა, იმის იმედი ვიქონიო, რომ ქართველები ავირჩევთ სწორ ცხოვრებისეულ გზას და ვიცხოვრებთ ჭეშმარიტი, ნამდვილი ცხოვრების წესით და არ დავიკარგებით სხვადასხვა იდეოლოგიის მიერ თავსმოხვეულ ბურუსში.

**მირანდა ჭიაბერაშვილი,**

**თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

**(იბეჭდება გაზეთ „კლიტე დავითისის“ თავაზიანი ნებართვით).**

# ლეგენდარული ქართველი ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის 80 წლის იუბილე



**კულტურისა და სპორტის სამინისტროში გამართულ ღონისძიებას მინისტრის პირველი მოადგილე შალვა გოგოლაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, ეროვნული სპორტული ფედერაციებისა და სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები, ვეტერანი სპორტსმენები, ალექსანდრე მეტრეველის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ.**

შალვა გოგოლაძემ ალექსანდრე მეტრეველს 80 წლის იუბილე მიულოცა და ქართული ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. ღონისძიებაზე წაიკითხეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი კობახიძის** მილოცვა. ალექსანდრე მეტრეველს იუბილე მიულოცეს ლეგენდარულმა ჩეხმა ჩოგბურთელმა **იან კოდეშმა** და ცნობილმა ბერძენმა ჩოგბურთელმა **სტეფანოს ციციპასმა.**

ალექსანდრე მეტრეველი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც უიმბლდონის ტურნირის ფინალში სამჯერ ითამაშა – 1973 წელს ერთეულთა თანრიგში, 1968 და 1970 წელს კი წყვილთა თანრიგში. ის იყო მსოფლიოს მეცხრე ჩოგანი. ქართველი ჩოგბურთელი ევროპის 16-გზის ჩემპიონია ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგებში.

ლეგენდარული სპორტსმენი დიდი სლემის 33 ტურნირის მონაწილეა. 1963-1980 წლებში მან დევისის თასზე 105-ჯერ ითამაშა და 80-ჯერ გაიმარჯვა.

ალექსანდრე მეტრეველი არის ღირსების ორდენის კავალერი. 2015 წელს, უიმბლდონის ტურნირის მსვლელობისას, იგი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) პრეზიდენტმა დევისის თასის სპეციალური მედლით დააჯილდოვა.

# ◉ ქართული ფეხბურთის უზბეკური დიდგორი

## ტაშკენტის ტრიუმფი 60 წლისაა!

დასასრული, დასაწყისი იხ. N128-ში

**დიდი მნიშვნელობა გააჩნდა შემოდგომის სესიის პირველ ორ მატჩს მოსკოველ თანაკლუბელებთან და როსტოვის არმიელებთან. პირველს წმინდა ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნდა. იმ სეზონში დინამოელებმა ორივე მატჩი დათმეს თანაკლუბელებთან – ჯერ საკავშირო პირველობაზე, ხოლო შემდეგ კი თასზე. 15 აგვისტოს მოსკოვში დინამოელებმა დამატებით დროში წააგეს 2:1. გოლი გაიტანა ილია დათუნაშვილმა. პრინციპულ ხასიათს ატარებდა გამარჯვება როსტოვში. „დინამომ“ გზიდან ჩამოიშორა ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი.**

ოქტომბრის შუა რიცხვებში მოხდა ერთი ამბავი, რომლისთვისაც მაშინ არანაირი დატვირთვა არ მიგვინიჭებია, რადგან VI კლასში ვიყავი, მაგრამ დღეს მიგვაჩნია, რომ მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ნიკიტა ხრუშჩოვის გადადგომა. ამან თავისი კვალი დააჩნია ჩემპიონატის ფინიშს. ეჭვი მაქვს, რომ ხრუშჩოვი რომ ყოფილიყო, შეიძლება „დინამო“ ჩემპიონი ვერ გამხდარიყო.

ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა დასკვნით ფაზაში შედის – „დინამო“ თუ „ტორპედო“? „დინამომ“ ორი ურთულესი ფრე ითამაშა ჯერ 26 ოქტომბერს ალმაათაში 0:0, სადაც მოედნიდან გააძევეს გურამ ცხოვრებოვი. და 30 ოქტომბერს ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოსთან“ 1:1.

ჩვენი აზრით, ჩემპიონატის კულმინაციად 30 ოქტომბერი შეიძლება მივიჩნიოთ. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ქართული დერბი. კომპრომისი სრულიად გამორიცხული იყო. ორივე გუნდს სჭირდებოდა ქულები. ერთს გასაჩემპიონებლად, მეორეს კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ამან განსაზღვრა მატჩის უკომპრომისო ხასიათი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფრე ორივე გუნდისთვის მისაღები აღმოჩნდა. ახლა ყველას ყურადღება მოსკოვისკენ აღმოჩნდა მიპყრობილი, სადაც ადგილობრივი „ტორპედო“ მასპინძლობდა კიევის „დინამოს“. მატჩი დაძაბული გამოდგა. დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია მაშინ, როდესაც უკრაინელთა კარში დაინიშნა პენალტი. ვალენტინ ივანოვის დარტყმა მოიგერია ვიქტორ ბანიკოვმა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. სტატუს-კვო შენარჩუნებული იქნა. ორივე გუნდს თანაბარი ქულები დაუგროვდა.

შემდეგი ორი მატჩი დინამოელებმა დამაჯერებლად მოიგეს. ჯერ იყო და 3 ნოემბერს თბილისში 3:1 დაამარცხეს მინსკის „დინამო“, ხოლო 8 ნოემბერს ამავე ანგარიშით 3:1 სძლიეს ჩემპიონატის დებიუტანტს და აუტსაიდერს იაროსლავლის „შინიკს“. საშემოდგომო სესიის ნამდვილ გმირად მოგვევლინა ილია დათუნაშვილი. მან 9 გოლი გაიტანა. კარგად ისარგებლა იმით, რომ მეტოქის ყურადღება ძირითადად სლავა მეტრეველის, ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას და მიხეილ მესხის განეიტრალებისკენ იყო მიმართული და თავისი შანსი კარგად გამოიყენა. 1964 წლის შემოდგომა მის სპორტულ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ის გუნდის სრულუფლებიან წევრად მოგვევლინა. ბოლო მატჩები ძალიან ძლიერად ჩაატარა მიხეილ მესხმა. ის გამოირჩა არა მხოლოდ საგოლე პასებით, არამედ ოთხი გოლი გაიტანა. ორივე გუნდს 46 ქულა დაუგროვდა.

დებულების თანახმად, ჩემპიონის გამოსავლენად, დაინიშნა დამატებითი მატჩი, რომელიც 18 ნოემბერს ტაშკენტში გაიმართა. მთავარ არბიტრად დაინიშნა რიგელი მიკენას რუბენისი. ხოლო მის თანაშემწეებად ჰუგო სტრენცისი და მ. ტიტორენკო. არსებობს დიდი ალბათობა, რომ თუ არა ნ. ხრუშჩოვის გადადგომა, შეიძლება რიგელი არბიტრები არც კი დაენიშნათ. დანიშნავდნენ რუს არბიტრებს. ამის გაკეთება არ გაუჭირდებოდათ. არბიტრმა მატჩი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და ობიექტურად იმსაჯა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას, კიეველი ცაპოვეცკისგან განსხვავებით, რომელმაც იმსაჯა ამ გუნდების შეხვედრა 1960 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვში საბჭოთა კავშირის თასის ფინალში, მატჩი არ გაუფუჭებია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

შეხვედრის პირველი ტაიმი უშედავათო ბრძოლაში წარიმართა და უშედეგოდ დასრულდა. მეორე ტაიმში ვლადიმერ შჩერბაკოვის ზუსტი დარტყმის შემდეგ მოსკოველები დაწინაურდნენ 1:0. შეიძლება ითქვას, რომ ამ გოლმა თბილისელებზე დადებითად იმოქმედა. გუნდი გათავისუფლდა ნერვული დაძაბულობისგან. ამან ასახვა ჰპოვა თამაშის ხარისხზე. მათი შეტევები სულ უფრო მწვავე ხდება. ილია დათუნაშვილმა კუთხურიდან გაათანაბრა ანგარიში 1:1. ეს იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში რეალიზებული ყველაზე მნიშვნელოვანი კუთხური. ძირითადი დრო დასრულდა ფრედ 1:1. დაინიშნა დამატებითი დრო. მან თბილისელთა სრული უპირატესობით ჩაიარა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და, ჩვენი აზრით, უმთავრესად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. მეკარე ანზორ კავაზაშვილისადმი გამოცხადებული უნდობლობით. ის ძირითად შემადგენლობაში არ დააყენეს და მეორე, შეიძლება მწვრთნელმა იჩქარა და ნაადრევად გაიყვანა თამაშიდან გუნდის ლიდერი, ლეგენდარული ვალენტინ ივანოვი. მას ტრავმა ჰქონდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ცოტათი დახანება? ეტყობა, „ტორპედოს“ მწვრთნელებმა საქმე დამთავრებულად მიიჩნიეს და კურსი ანგარიშის შენარჩუნებაზე აიღეს. ლიდერიც იქნებ ამიტომ შეცვალეს? საბოლოოდ ამ ტაქტიკამ არ გაამართლა. დამატებით დროში თბილისელებმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს. ამ მატჩის გმირად ილია დათუნაშვილი მოგვევლინა. ჯერ იყო და მან ძლიერი და ზუსტი დარტყმით წინ გაიყვანა თბილისელები. მერე სახელმოხვეჭილმა მიხეილ მესხმა სულ თავგზა აუბნია მოსკოველთა მცველებს და მესამე გოლი გაიტანა. და ბოლოს სახელგანთქმულმა სლავა მეტრეველმა ზუსტად დაარტყა პენალტი და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 4:1. თბილისის „დინამომ“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ქამბექი შეასრულა და საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. მთელი საქართველო ენით აღუწერელმა სიხარულმა მოიცვა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მათ „ოქროს ბიჭები“ უწოდა. ალბათ, არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ამ დიდ გამარჯვებას წერტილი დაუსვეს მიხეილ მესხმა და სლავა მეტრეველმა. მათ როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ცნობილმა მწვრთნელმა ელინიო ერერამ „ქართული ფრთები“ უწოდა.

## საინტერესო სტატისტიკა

**აქ საუბარი გვექნება 1964 წლის სეზონში თბილისის „დინამოს“ გამოსვლის ერთ სტატისტიკურ მონაცემზე, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, რადგან აქვს მნიშვნელობა და აქტუალურია. ის კარგად ჩაგვახედებს იმ სეზონში „დინამოს“ წარმატებების გამომწვევ მიზეზებში, მის ერთ-ერთ ფაქტორზე. ამ სტატისტიკას ნაკლებად ექცეოდა ყურადღება და ამიტომ გადავწყვიტეთ მისი წინ წამოწევა. მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ერთი გარემოება. 1964 წლის სეზონში „დინამოს“ თავის კონკურენტებთან შეხვედრებში დადებითი ბალანსი აქვს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამან მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ წელს „დინამოს“ წარმატება.**

ის პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი ჯგუფია ასპროცენტიანი შედეგი. როდესაც „დინამომ“ მოიგო ორივე მატჩი შინ და გასვლაზე, ანუ ქულების მაქსიმუმი აიღო – ოთხი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

მეორე ჯგუფია, როდესაც მან დადებითი შედეგი აჩვენა – ერთი მოიგო და




ერთი ფრედ დაასრულა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგი შედეგია და გუნდის აქტივს უნდა მივაკუთვნოთ.

მესამე ჯგუფია, სადაც „დინამომ“ ფრე ითამაშა. აქ ორი ვარიანტია – ერთი თამაში მოიგო, ერთი კი წააგო ან ორივე ფრედ ითამაშა.

მეოთხე ჯგუფი არ არსებობს, რადგან „დინამოს“ იმ სეზონში უარყოფითი ბალანსი არც ერთ გუნდთან არ ჰქონია. ესეც ცხადია, ძალიან კარგია.

ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა გუნდმა ოთხ შემთხვევაში: მოსკოვის „სპარტაკთან“ ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში 28 მარტს თბილისში 1:0, როცა გოლი შეხვედრის უკანასკნელ წუთზე გაიტანა მცველმა ბორის სიჭინავამ და მოსკოვში 11 აგვისტოს 1:0. ერთადერთი გოლი გაიტანა სახელგანთქმულმა სლავა მეტრეველმა. ბაქოს „ნეფტიანიკისთან“. პირველი მატჩი ბაქოში 6 ივლისს „დინამომ“ მოიგო 1:0. გოლი გაიტანა სლავა მეტრეველმა. მეორე შეხვედრა თბილისში 15 ოქტომბერს უხვგოლიანი გამოდგა და 4:3 გაიმარჯვა „დინამომ“.: დუბლი შეასრულა შეუდარებელმა მიხეილ მესხმა, თითო გოლები გაიტანეს განუმეორებელმა ვლადიმერ (სიომა) ბარქაიამ და ილია დათუნაშვილმა. ორჯერ დავამარცხეთ როსტოვის სკა – თბილისში 10 ივლისს 2:1 – გოლები გაიტანეს გიორგი სიჭინავამ და სლავა მეტრეველმა. და 16 სექტემბერს როსტოვში ამავე ანგარიშით. გოლის ავტორები იყვნენ გიორგი სიჭინავა და ილია დათუნაშვილი. და ორი გამარჯვება ჩემპიონატის დებიუტანტთან იაროსლავლის „შინიკთან“ – გასვლაზე 20 აპრილს 1:0. გოლის ავტორია ვლადიმერ (სიომა) ბარქაია და თბილმისში 8 ნოემბერს 3:1 – თავი გამოიჩინეს ლეგენდარულმა კაპიტანმა შოთა იამანიძემ, სლავა მეტრეველმა და ილია დათუნაშვილმა.

ახლა მეორე ჯგუფი, როდესაც „დინამომ“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა მეტოქე, ხოლო გასვლით შეხვედრაში კი ფრედ ითამაშა. ლენინგრადის „ზენიტთან“ თბილისში 7 აპრილს 2:0. გოლები გაიტანეს ვლადიმერ (სიომა) ბარქაიამ და გუნდის ახალწვეულმა ალექსანდრე აფშევმა. 19 აგვისტოს ლენინგრადში 0:0. ზუსტად ანალოგიური სურათი გვაქვს გორკის „ვოლგასთან“ დაპირისპირების შემთხვევაში. თბილისში 11 აპრილს გაიმარჯვა „დინამომ“. გოლები შოთა იამანიძის და ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას ანგარიშზეა და 2:0 იმარჯვა „დინამომ“, ხოლო გორკში შეხვედრა 23 აგვისტოს დასრულდა ფრედ 0:0. 1 ივლისს პირველი შეხვედრა მოსკოვში „ტორპედოსთან“ დამთავრდა ფრედ 1:1. გოლის ავტორია ვლადიმერ (სიომა) ბარქაია. 22 ოქტომბერს თბილისში პრინციპულ დაპირისპირებაში კი დინამოელებმა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს 3:1. გოლების ავტორები იყვნენ: მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, შოთა იამანიძე. მინსკში თანაკლუბელებთან 15 ივლისს უშედეგო ფრის შემდეგ, თბილისში „დინამომ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა 3:1. დუბლი შეასრულა ილია დათუნაშვილმა. ერთი გოლი გაიტანა მიხეილ მესხმა. კიევის „დინამოსთან“ 20 ივლისს თბილისში ძნელ გამარჯვებას – 2:1 (გამოირჩნენ სლავა მეტრეველი და ილია დათუნაშვილი), მოყვა 1 აგვისტოს კიევში ფრე 1:1. გოლის ავტორია ილია დათუნაშვილი. და ბოლოს ქუთაისის „ტორპედო“. პირველ მატჩში 25 ივლისს თბილისში მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას, 1:0 (გოლის ავტორია სლავა მეტრეველი), მოყვა 30 ოქტომბერს უკომპრომისო ფრე ქუთაისში 1:1. თბილისელთაგან გოლის ავტორი იყო ილია დათუნაშვილი.

მესამე ვარიანტში გუნდებმა თანაბრად გაიყვეს ქულები. აქ ორი შემთხვევაა. პირველში სახლში თბილისელებმა იმარჯვეს, ხოლო გასვლაზე პირიქით – სტუმრებმა. ასეთი სულ ოთხი შემთხვევაა. 1 აპრილს თბილისში დიდი ანგარიში დაამარცხეს ცსკა 3:0. ამ მატჩის ნამდვილი გმირი იყო ვლადიმერ (სიომა) ბარქაია. მან ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა ბრწყინვალედ ითამაშა და ორი გოლი გაიტანა, ერთიც ბორის სიჭინავამ შეაგდო. მეორე წრეში არმიელებმა შეძლეს დამაჯერებელი რევანშის აღება. 5 აგვისტოს მოსკოვში, ასევე დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს 4:1. თბილისელთაგან გოლის ავტორი იყო შოთა იამანიძე. ერთ საინტერესო ნიუანსზე მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას. იმ სეზონში „დინამომ“ დიდი ანგარიშით მოუგო ცსკას და ასევე დიდი ანგარიშით დამარცხდა ცსკასთან. 1964 წლის სეზონში თბილისელებმა პირველი მარცხი განიცადეს მეშვიდე ტურში მოსკოვში 26 აპრილს იქაურ თანაკლუბელებთან მატჩში 3:1. მოსკოველმა იური ვშივცევმა ჰეთთრიკი შეასრულა, ხოლო დინამოელებიდან გოლი შოთა იამანიძემ გაიტანა. მეორე წრის შეხვედრაში, რომელიც 12 სექტემბერს გაიმართა, „დინამომ“ შეძლო რევანშის აღება 2:1. თავი გამოიჩინეს სლავა მეტრეველმა და ილია დათუნაშვილმა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ „დინამომ“ ქულები გაიყო აუტსაიდერ კიშინიოვის „მოლდოვასთან“, რომელიც იმ წელს უმაღლესი ლიგიდან გავარდა. 2 მაისს კიშინიოვში თბილისელებმა შეხვედრა დათმეს 1:0, ხოლო მეორე წრეში 20 სექტემბერს ძნელ ბრძოლაში მოახერხეს რევანშის აღება 1:0. ეს შეხვედრა ძალიან კარგად ჩაატარა ვლადიმერ (სიომა) ბარქაიამ. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მატჩში ერთადერთი გოლი, სწორედ, მან გაიტანა. პირველ წრეში ბოლო, მესამე, მარცხი „დინამომ“ განიცადა დონეცკში 17 მაისს ადგილობრივ „შახტიორთან“ მატჩში – 2:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. სტუმართაგან გოლი გაიტანა დებიუტანტმა ალექსანდრე აფშევმა. ამ შეხვედრაში ტრავმა მიიღო ლეგენდარულმა მიხეილ მესხმა, რომელიც რამდენიმე ხნით გამოაკლდა გუნდს. მეორე წრის შეხვედრაში 1 ოქტომბერს „დინამომ“ ძნელ ბრძოლაში იმავე ანგარიშით შეძლო გამარჯვების მოპოვება. სლავა მეტრეველმა მატჩის უკანასკნელ წუთებზე გაიტანა გადამწყვეტი გოლი და მოწინააღმდეგეს ძნელი გამარჯვება გამოსტაცა. პირველი გოლი ილია დათუნაშვილის ანგარიშზეა. დანარჩენ ორ შემთხვევაში გუნდებმა ქულები გაიყვეს და ფრე ითამაშეს, როგორც სახლში, ისე სტუმრად. მეხუთე ტურში 15 აპრილს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ მატჩში ძლივს გადავარჩინეთ ქულა. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სლავა მეტრეველმა ზუსტი 11-მეტრიანი დარტყმით მოახერხა ანგარიშის გათანაბრება – 1:1. თბილისელთა კარში გოლი გაიტანა კიკინმა. ეს ახალ სეზონში თბილისელთა მიერ გაშვებული პირველი გოლი იყო და ამიტომ გავაკეთეთ მასზე აქცენტი. განმეორებითი შეხვედრა კუიბიშევში 3 სექტემბერს უხვგოლიანი ფრით აღინიშნა 3:3. სტუმართაგან თავი ისახელეს ვლადიმერ (სიომა) ბარქაიამ, ილია დათუნაშვილმა და სლავა მეტრეველმა. და ბოლოს ორი ფრე „კაირატთან“. ჯერ მეცხრე ტურში 6 მაისს თბილისში 2:2. იმ სეზონში პირველი გოლი გაიტანა მიხეილ მესხმა, ხოლო მეორე გოლის ავტორი იყო გიორგი სიჭინავა. მეორე წრეში 26 ოქტომბერს, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, თოვლში, ფრე ალმაათაში 0:0. მოედნიდან იქნა გაძევებული გურამ ცხოვრებოვი.

როგორც ხედავთ, „დინამოს“ არც ერთ გუნდთან უარყოფითი ბალანსი არ აქვს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმ სეზონში მისი წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარი იყო. მეტი სიზუსტისათვის ყურადღებას მივაპყრობთ ერთ ნიუანსს, რომელიც, ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ბურთების შეფარდების თვალსაზრისით, მცირე უპირატესობა გააჩნია მოსკოვის „დინამოს“. ერთი თამაში მან 3:1 მოიგო, ხოლო მეორე კი დათმო 2:1. მინიმალური უპირატესობა მოსკოველთა მხარეზეა 4:3. აი ეს არის სულ. ათ შემთხვევაში უპირატესობა „დინამოს“ მხარეზე იყო. ოთხ შემთხვევაში სრული, ექვსში კი უპირატესობა ასევე დამაჯერებელია – გამარჯვება და ფრე. ამაზე მოდის გუნდის მიერ მოგროვებული ქულების მაქსიმუმი – 34 ქულა. ამდენივე შემთხვევაში გვაქვს ფრე. ოთხ შემთხვევაში მოგება და წაგება, ხოლო ორ შემთხვევაში ორორი ფრე და ბურთების სხვაობის სრული თანაფარდობაა. როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გააჩნია მოსკოვის „დინამოს“ უპირატესობა – აქვს ბურთების უკეთესი შეფარდება – ოთხი გატანილი და სამი გაშვებული. ეს უკვე 12 ქულაა. ასე მოუყარა თავი „დინამომ“ ესოდენ სასურველ 46 ქულას და მოიპოვა გადათამაშების უფლება. 18 ნოემბერს გადამწყვეტ მატჩში, დამატებით დროში 4:1 დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“ და საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

**მერაბ კალანდაძე**




# ზურაბიშვილის მიერ შეწყალებული რურუა სახელმწიფო გადატრიალების საქმეში ფიგურირებს

სახელმწიფოს გადატრიალება და ძალადობრივი დამხობა – „მთავარი არხის" ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი რურუა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოკითხვაზე დაიბარეს. თუმცა, რურუამ სუს-ს უნდობლობა გამოუცხადა და ჩვენება სასამართლოში, მაგისტრი მოსამართლის წინაშე მისცა. რა თქმა უნდა, რურუა უარყოფს მის კავშირს აღნიშნულ დანაშაულში და აცხადებს, რომ სუს-ს აშკარად შეეშალა მისამართი. მისი თქმით, სახელმწიფოს გადატრიალება და დამხობა „რუსულმა ოცნებამ" განახორციელა, ერთი კაცის ხელმძღვანელობით და სოლოლაკში გაუშვა.

რურუას ადვოკატი დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, არანაირი კითხვა არ დასმულა გიორგი რურუას განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებით და ეს იყო უბრალოდ საცირკო წარმოდგენა.

ადვოკატის სტილი დაცულია: „ბატონი გიორგი იმიტომ გამოიკითხა, რომ „რუსთავი2"-მა, „იმედმა", „პოსტივიმ" სულელური სიუჟეტები მოამზადონ, თითქოს, შეთქმულებებზე, დამხობ პირებზე, არანაირი შინაარსი არ ჰქონია კითხვებს, რომელიც გიორგის მიმართ დაისვა, არანაირი კითხვა არ დასმულა გიორგის განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებით, ეს იყო უბრალოდ საცირკო წარმოდგენა, იმიტომ რომ საზოგადოებაზე სახელისუფლებო პროპაგანდისტული მედიასაშუალებებით ზეგავლენა მოახდინონ, თითქოს, ვიღაც, რაღაცას გეგმავს.

ვიმეორებ, არც ერთი კითხვა, თუნდაც, ირიბ კავშირში გიორგი რურუას ქმედებებთან ამ გამოკითხვაზე არ გაჟღერებულა, აბსტრაქტული კითხვები იყო, ზუსტად ამიტომ ვამბობ, ეს იყო ხელოვნურად შექმნილი პროცესი. რაც შეეხება იმას, რატომ არ მივედით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, გუნებრივია, არ ვენდობით სუს-ს, საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვა ნეგაყოფლოგითია, ამიტომ არ მივედით იქ, სასამართლოში დაგვიბარეს, იქ გამოვცხადდით და გავეცით „კითხვებს" პასუხი", – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ამავე საქმეზე რურუა ერთელ უკვე იყო პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის შეწყალების აქტის საფუძველზე საპატიმრო დაწესებულება დატოვა!!!

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** ფიქრობს, სავარაუდოა, რომ ძალიან ბევრი მასალა არის საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, მათ შორის გარკვეული სიძველითაც. ამიტომ, მისი თქმით, სამართლებრივი რეაგირება იმიტომ სჭირდება სახელმწიფოს, რომ დაუსჯელობის სინდრომის გამო არ მოხდეს პირების მაღალი დონის დამნაშავეებად ჩამოყალიბება.

**დღეს, რაზეც მას სთხოვენ მისცეს ჩვენება, ეს არის უცხო ქვეყნების პოლიტიკური დაზვერვის მნიშვნელოვანი ინტერესი იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და მასში მონაწილეობა, ეს არის ძირითადად უცხო ქვეყნების მიერ ორგანიზებული და არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდება, თუ მას საგარეო მხარდაჭერა არ აქვს",** – აცხადებს კუხალაშვილი. აქედან გამომდინარე, კუხალაშვილი ფიქრობს, პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი იმ პირების მიმართ, ვინც ვალდებული იყო დანაშაულის შესახებ საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია დროულად ყოფილიყო გახსნილი და პირები, ან პირთა ჯგუფები მიცემული ყოფილიყვნენ პასუხისგებაში.

„ეს რაც შეეხება პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, მაგრამ ამასთან ერთად, უნდა დადგეს პასუხისმგებლობა იმ პირებისა და პირთა ჯგუფების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა სტრუქტურაში მოღვაწეობენ, ღებულობდნენ როგორც აგენტურულ-ოპერატიულ ინფორმაციას, ასევე ახორციელებდნენ სისხლის სამართლებრივ დევნას. ამ პროცესის განხორციელება აუცილებელია...", – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას დავით კუხალაშვილმა.

**თამთა ქარჩავა**

# სახალხო მკურნალი გთავაზობთ

ხალხური მედიცინის ფირმა „იადიგარ დაუდი"-ის (დავით ბაგრატიონი) დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი გთავაზობთ მკურნალობას გარანტირებული შედეგით და მრავალწლიანი გამოცდილებით, ფუტკრის პროდუქტებით: კუჭ-ნაწლავის წყლულები და ეროზიები (ნებისმიერი სირთულის), შებერილობა, ფაღარათი, ბუასილი, ქოლეცისტიტი, ჰაიმორიტი, პირიდან სუნი, ბრონქიტი, პირის ღრუ, ენურეზი, ცისტიტი, პიელონეფრიტი (შარდში: ცილები, ლეიკოციტები), მოზარდებში სასქესო ორგანოს განუვითარებლობა, წვრილი ჭია.

მის: წერეთლის გამზირი N57.

ტელ: 599-49-84-23, ნანა.

მიღება წინასწარი ჩაწერით, სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

✦ ✦ ✦

ფირმა „იადიგარ დაუდი"-ის დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი გთავაზობთ მკურნალობას:

1. ფუტკრის პროდუქტებით: პროსტატიტს, სქესობრივ სისუსტეს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, პენისის ანთებას, კონტაქტის შიშს.

2. სხვადასხვა მეთოდებით, პაციენტის გარეშეც ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, ვმუშაობ ნებისმიერ ასაკის პაციენტებზე.

გამოცდილება – მრავალწლიანი, შედეგი – გარანტირებული.

მის: წერეთლის გამზირი N57.

ტელ: 599-49-84-23, ნანა.

მიღება წინასწარი ჩაწერით, სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

# გიგანტური მტაცებელი ფრინველი, რომელიც სიმაღლეში სამ მეტრამდე აღწევდა



**ამ ხორცისმჭამელი ფრინველის შესახებ მხოლოდ მისი წვივის ძვლის ფრაგმენტის საფუძველზე ვიცით, მაგრამ სავარაუდოდ, ის უდიდესი უნდა ყოფილიყო ამ სახის ფრინველთა შორის.**

ფორორაციდისებრთა წარმომადგენელი ეს „ტერორის ფრინველები" დაახლოებით 12 მილიონი წლის წინ ბინადრობდნენ თანამედროვე კოლუმბიის ტერიტორიაზე, ტატაკოას უდაბნოში, მანქანის ზომის ჯავშნოსან არმადილებს, გიგანტურ ზარმაცებსა და ხმალკბილა ჩანთოსან ნათესავებთან ერთად.

ცოტა ხნის წინ შესწავლილი ნამარხი მიუთითებს, რომ ეს ეგზემპლარი თავის ნათესავებზე დიდი იყო, სიმაღლეში 1-დან 3 მეტრამდე.

ნამარხს ასევე აქვს ნიშნები იმისა, თუ როგორ მოკვდა ეს კონკრეტული ეგზემპლარი — კიდევ უფრო საშინელი მტაცებლის ყბებში.

არგენტინის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრის ევოლუციურმა ბიოლოგმა, ფედერიკო დეგრანგმა და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ ფრინველის წვივის ძვალს ნიანგების უძველესი ნათესავის, პურუზავრის კბილების კვალი ამჩნევია; ეს მტაცებელი სიგრძეში ცხრა მეტრამდე იზრდებოდა.

**„ჩვენი აზრით, ტერორის ფრინველი ამ ნიანგისებრმა მოკლა 12 მილიონი წლის წინ", — ამბობს ჯონს-ჰოპკინსის უნივერსიტეტის პალეონტოლოგი სიობან კუკი.**

წინა აღმოჩენებიდან ვიცით, რომ ფორორაციდისებრებს მასიური ნისკარტი ჰქონდათ, რაც მათ ზედმეტად საშინელ გამოხედვას აძლევდა. თავის ქალის ანატომიასთან ერთად, ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ისინი ეფექტიანი მტაცებლები იყვნენ.

ჩვენდა საბედნიეროდ, ფორორაციდისებრები ადამიანთა გამოჩენამდე ბევრად ადრე გადაშენდნენ.

ძვლის ფრაგმენტი მეტყველებს, რომ ეს ცხოველი 30 პროცენტით უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩვენთვის აქამდე ცნობილი ფორორაციდისებრთა სხვა ეგზემპლარები. მკვლევართა ჯგუფი ეჭვობს, რომ ის შეიძლება ახალი სახეობა ყოფილიყო, მაგრამ აღმოჩენილი ძვლების სიმწირე მაინც ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ ის შეიძლება ადრე აღმოჩენილ სხვა ტერორის ფრინველებს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, ტიტანისს.

**„ის ფაქტი, რომ ფორორაციდისებრთა აბსოლუტური უმეტესობა სამხრეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილშია აღმოჩენილი და ის, რომ ბოლო პერიოდში ისინი ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილის პლიოცენის ეპოქის დანალექებშიც გამოჩნდნენ, მიუთითებს, რომ ტერორის ფრინველები სამხრეთამერიკული წარმოშობის იყვნენ", — წერენ მკვლევრები.**

ეს კონკრეტული ნამარხი თითქმის 20 წლის წინ აღმოაჩინეს და ამჟამად ის 3D სკანირებით შეისწავლეს.

არამფრენ დინოზავრთა გადაშენების შემდეგ, გიგანტური, არამფრენი ფრინველები მრავალჯერ ჩამოყალიბდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მათ შორის იყო „დემონი იხვები" ავსტრალიაში და გასტორნისი ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში.

# 12-წლიანი პატიმრობა როინ შავაძის მკვლელებს



**როინ შავაძის საქმეზე განაჩენი გამოცხადდა. აჭარის კუდ-ის ყოფილ სპეცრაზმელებს – ასლან ინაიშვილსა და გელა გვიანიძეს, ასევე, მალხაზ აბულაძეს, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული, სასამართლომ 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

საგამოძიებო მასალების მიხედვით, სწორედ ასლან ინაიშვილი და გელა გვიანიძე მონაწილეობდნენ სერჟანტის ჯერ უკანონოდ დაკავებაში და შემდეგ – სასტიკ მკვლელობაში.

გამოძიების მიხედვით, აგვისტოს ომის მონაწილე როინ შავაძეს წინა ხელისუფლება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას აბრალებდა. 2008 წელს ბათუმის ერთ-ერთ კაფეში მისი დაკავება ნარკოდანაშაულის მოტივით, მკვლელობა კი – წინააღმდეგობის გაწევით ახსნეს. თუმცა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩატარებულმა გამოძიებამ საქმე თავდაყირა დააყენა. რეზონანსულ საქმეზე არსებობს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომელიც 15 წლის წინ ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებს.

# სამშობლოს გამყიდველი თაღლითები

**საქართველოს პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოავლინა და დიდი ოდენობის, 780 ათასი ლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი მიწის დაუფლების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების ფაქტებზე შვიდ პირს ბრალდება წარუდგინა.**

„დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ 70000 $м^2$ მიწის ნაკვეთს თაღლითურად დაეუფლნენ და გაასხვისეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორი ოთხი პირი 6 ნოემბერს დააკავეს. სამ პირს ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის, ხოლო 1 პირს სამსახურებრივი სიყალბესა და თაღლითობაში დახმარების ფაქტებზე წარედგინა.

ასევე, დანაშაულებრივი ჯგუფის სამ წევრს ბრალდება წარედგინა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობაში დახმარების და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების ფაქტებზე.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ისტორიაში პირველად!
## ქართული წყვილი გრან-პრის სერიის გამარჯვებულია!

**იაპონიაში დასრულდა გრან-პრის სერიის მეოთხე ეტაპი ფიგურულ ციგურაობაში NHK Trophy. ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ქართულმა სპორტულმა წყვილმა – ანასტასია მეტელკინამ და ლუკა ბერულავამ. სპორტსმენებმა ორი პროგრამის შედეგად დაგროვებული 213,05 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს და ოქროს მედლები და NHK-ის თასი მოიპოვეს.**

მოკლე პროგრამა ლუკა ბერულავამ და ანასტასია მეტელკინამ 70,28 ქულით მეორე ადგილზე დაასრულეს, თავისუფალ პროგრამაში კი მსაჯებისგან 142,77 ქულა დაიმსახურეს და პირველობა არავის დაუთმეს. აღსანიშნავია, რომ ქართველმა სპორტულმა წყვილმა გრან-პრის სერიის ეტაპის ჩემპიონობა ისტორიაში პირველად მოიპოვა.

სპორტის სამინისტრო ულოცავს ამ ისტორიულ გამარჯვებას ლუკა ბარულავასა და ანასტასია მეტელკინას და მათ მომავალშიც წარმატებებს უსურვებს!



## ირმა ხეცურიანის ოქროს მედალი მსოფლიო თასზე

**საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი იტალიის ქალაქ პიზაში მიმდინარე 2024 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაზე.**

ასპარეზობის პირველივე დღეს რაპირით ფარიკაობაში **ირმა ხეცურიანმა** ნახევარფინალში ბელორუსი მოწინააღმდეგე ალესია ილმინსკაია 15:7 დაამარცხა, ფინალურ შეხვედრაში უკრაინელ ნადია დოლოჰს მოუგო ანგარიშით 15:13 და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.



## რობოტის მიერ შესრულებული ნახატი 1.3 მილიონ დოლარად გაიყიდა

**ნახატზე ცნობილი ანალიტიკოსი, მეორე მსოფლიო ომის კრიპტოანალიტიკოსი ალან ტურინგია გამოსახული.**

სოთბის აუქციონის წარმომადგენლების ინფორმაციით, ნახატზე, სახელწოდებით, „ეი აის ღმერთი“ 27 ბიდი განხორციელდა. ნახატის საწყისი ფასი 120 000 დოლარი იყო.

მათემატიკოსი ტურინი კომპიუტერული მეცნიერებების პიონერი იყო და მას ხელოვნური ინტელექტის მამად მოიხსენიებენ.

აღსანიშნავია, რომ Ai-Da რობოტი პირველი ჰუმანოიდი რობოტია, რომლის ნამუშევარიც აუქციონზე გაიყიდა.



**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7247; ევრო - 2.9345;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5290;**
**100 რუბლი - 2.7873; თურქული ლირა - 0.0793;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6035;**
**1000 სომხური დრამი - 7.0424.**

# 30 000 წლის წინათ ბავშვები თიხისგან სათამაშოებს თავად ქმნიდნენ...



**ოდესმე დაფიქრებულხართ, როგორები იყვნენ პალეოლითის დროინდელი ბავშვები? ან რით თამაშობდნენ ისინი?**

ჩეხეთში მიკვლეული 500-მდე კერამიკული არტეფაქტი მიანიშნებს, რომ ბავშვებს სათამაშოები მაშინაც ჰქონდათ, თანაც მათ თიხისგან თავადვე ქმნიდნენ. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, 30 000 წლის წინ ხდებოდა.



საუბარია ადამიანებისა და ცხოველების ფიგურებზე, რომლებიც დიდი ოსტატობით არაა დამზადებული, ამიტომ სპეციალისტები ასკვნიან, რომ ისინი სწორედ ბავშვების ნახელავია. ავტორები ამბობენ, რომ პატარებისგან მოსალოდნელია, კერამიკაზე მუშაობის სტანდარტულ პროცედურებს ზედმიწევნით არ მიჰყოლოდნენ და ნაკეთობის ფორმაც განსხვავებული გამოსვლოდათ.

ფიგურების უმეტესობა დაბზარულია, რაც მიუთითებს, რომ ისინი მანამ გამოწვეს, სანამ ბოლომდე მოასწრებდა გაშრობას. საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთი ნიმუშის ზედაპირზე თითის ანაბეჭდებიცაა შემონახული და ისინი სწორედ ბავშვებს ეკუთვნით. მეცნიერების თქმით, ეს საშუალებას გვაძლევს, უკეთ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადრეული ადამიანები.

აღსანიშნავია, რომ ბავშვების მიერ მსგავსი ფიგურების შექმნის მტკიცებულებები თითქმის ყველგანაა, არიზონიდან სირიამდე და შუა საუკუნეების ევროპელებიდან თანამედროვე ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენებამდე. საინტერესოა ისიც, რომ ზემოხსენებული არტეფაქტებიდან სამარხში არცერთი არ უპოვიათ. უმეტესობა გამოსაწვავ ბუხართან ახლოს იყო.

## ორთაჭალაში სატვირთო გადაბრუნდა, დაღუპულია მძღოლი

**თბილისში უბედურ შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. არსებული ცნობით, ორთაჭალაში, ერთ-ერთი სამშენებლო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილი გადაბრუნდა.**

დაიღუპა მძღოლი.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.



## ძლიერი აფეთქება პაკისტანის რკინიგზის სადგურზე

**სამხრეთ-დასავლეთ პაკისტანში, პარასკევს, რკინიგზის სადგურზე ძლიერ აფეთქებას 21 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავდა 30. აფეთქება ქალაქ კვეტას სადგურზე, დაახლოებით დილის 9 საათზე მოხდა.**

CNN-ის ინფორმაციით, თავდასხმაზე პასუხისმგებლობა სეპარატისტულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, **Baloch Liberation Army (BLA)** აიღო.

უფროსი ზედამხედველის ბალოხას განცხადებით, მომხდარი, სავარაუდოდ, სუიციდური თავდასხმა იყო – „აფეთქება მოხდა მაშინ, როდესაც პლატფორმაზე დიდი რაოდენობით მგზავრები იმყოფებოდნენ“ – განაცხადა მან.

ადგილზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. პროვინციის მთავარმა მინისტრმა სარფრაზ ბუგტიმ ინციდენტის გამოძიების ბრძანება გასცა.



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 13 ნოემბერს